

მამუკა ბაჩეჩილაძე

**მცირე ზერმერული მეურნეობისათვის
საკვებარმოების „შევუთული“ სენატის
ფეხნოლოგიისა და ტექნიკური საჭუალებების
დამუშავება**

**გამომცემლობა „ქართული წიგნი“
თბილისი**

2012

მონოგრაფიაში განხილულია სხვადასხვა სახის მწვანე მასებიდან „შეფუთული სენაჟის“ დამზადების რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები. დასაბუთებულია მათი ტექნიკური, საექსპლუატაციო და ტექნოლოგიური პარამეტრები. ამ მიზნით მონოგრაფიაში წარმოდგენილია ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული, აგრეთვე ენერგეტიკული და ეკონომიკური კვლევის მასალები, რომლის შედეგად დადგენილია „შეფუთული“ სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის ეფექტურობა, მანქანის დამზადების დანახარჯები, თვითღირებულება და ეფექტიანობა. მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალები და ტექნიკურ საშუალებაზე მიღებული პატენტი გამოგონებაზე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მეცხოველეობის ფერმებში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების დასაქმებული ფერმერების და სხვა მუშაკების, მეცნიერების, კონსტრუქტორების, აგრარული დარგის მაგისტრების და დოქტორანტების მიერ, რომლებიც მუშაობენ მეცხოველეობის საკეთი ბაზის მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებზე.

რედაქტორები:

რევაზ მახარობლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;

ომარ თელორამე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რეცენზენტები:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;

ზაზა მახარობლიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

მამუკა ბენაშვილი - ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი.

© გამომცემლობა „ქართული წიგნი“

თბილისი, მაჩაბელის 15, ტელ.: + 995 2-931-737

ISBN 978-9941-9250 -0-9

სარჩევი

შესაბალი - - - - -	5
თავი I. სენაზის დამზადების ფექოლოგიების და ტექნიკური საშუალებების მიმოხილვა; კვლევის მიზები და ამოცანები - - - - -	10
1.1. სენაზი, როგორც საპგები და მისი მიზანებელობა პირზოგია რაციონები- - - - -	10
1.2. ბუნებრივი ბალაზები, კულტურული მცენარეები და მათი ნარჩ- ვები, რომლებიც გამოიყენება სენაზის დასამზადებლად- - - - -	15
1.3. სენაზის დამზადება კონსერვაციების გამოყენებით- - - - -	16
1.4. სენაზის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგიები- - - - -	19
1.5. სასენაზე ნაბეჭობები და მათი სახეები- - - - -	22
1.6. „შეფუთული“ სენაზის დამზადების ტექნიკურიების და ტექნიკური საშუალებების მოკლე მიმოხილვა --- - - - -	26
1.7. „შეფუთული“ სენაზის გარდანების რაოდენობის, მოცულო- ბისა და ტენიანობის გაცემისას დასაზღვრა- - - - -	35
1.8. კვლევის მიზები და ამოცანები - - - - -	36
 თავი II. „შეფუთული“ სენაზის დამზადებელი მარქანის კონსტრუქციის დამუშავება - - - - -	39
2.1. სხვადასხვა სახის მფგანი გასებიდან სენაზის დამზადებისა და დარიგების ნაკადური ხაზების შესაძლო ვარიაციები- - - - -	37
2.2. სასენაზე მასის ტომოებში შემფუთავი მარქანის კონსტრუქციის აღწერა - - - - -	41
2.3. სასენაზე მასის ტომოებში შემფუთავი მარქანის სამუშაო პროცესის აღწერა- - - - -	44
2.4. სენაზის ტომოებში შესაფარი მარქანის შეცვალი სამუშაო ორგანო და მისი სრულყოფის შესაძლო ვარიაციები- - - - -	46
2.5. შეცვალი ფენე-საფუთავი მარქანის სამუშაო ორგანოს მუშაობის აღწერა- - - - -	51
 თავი III. შეცვალი ფენე-შემფუთავის სამუშაო პროცესის თეორიული ანალიზი - - - - -	53
3.1. სასენაზე მასის დაწესების პროცესზე მოძმევი ვარ्षიონები და მათი მოკლე ანალიზი - - - - -	53

3.2. შემარტინ უნის-შემცუთავში სასენაზე მასის ნაწილაკებზე მოქმედი ძალის სისტემა- - - - -	55
3.3. მონარეული მასის დაწესების (გამკვრივების) თეორია რეოლოგიის მეთოდების გამოყენებით - - - - -	58
3.4. „შეცუთული“ სენაზის დასამზადებელი შემარტინი ტიპის საწესი კამერის ძირითადი პარამეტრების დასაგუთხა- - - - -	64
თავი IV. „შეცუთული“ სენაზის დამამზადებელი მარტინის კვლევა მრავალფაზურიანი ექსპრიმენტების დაგეგმვის მეთოდით- - - - -	72
4.1. შემარტინი ტიპის კამერაში სენაზის დაწესების ექსპრიმენ- ტული კვლევა- - - - -	72
4.2. „შეცუთული“ სენაზის საწეს-შესაცუთი დანადგარის ექსპრიმენტული კვლევის შედეგები- - - - -	76
4.3. კვლევის შედეგების ანალიზი- - - - -	80
თავი V. „შეცუთული“ სენაზის საწეს-საცუთავი დაცადგარის ენერგეტიკული და ეკონომიკური შეფასება.- - - - -	81
5.1. ენერგეტიკული კვლევის ტეორიული საფუძვლები- - - - -	81
5.2. ექსპრიმენტული კვლევის შედეგები - - - - -	83
5.3. „შეცუთული“ სენაზის დამზადების ტექნოლოგიის ეფექტუ- რობის დასაგუთხა . - - - - -	87
5.4. „შეცუთული“ სენაზის დამზადების დანახარჯები, თვითდი- რებულება და ეფექტიანობა - - - - -	91
გირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.- - - - -	95
გამოყენებული ლიტერატურა . - - - - -	98
დანართი - - - - -	104

შესაბალი

ადამიანის არსებობა, მისი განვითარება, შრომისუნარიანობა და ცხოვრების დონე დამოკიდებულია ხარისხიან საკვებ ბაზაზე, რომლის საშ მეოთხედს [59] წარმოადგენს მცენარეული და ცხოველური საკვები, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტები: ხორცი და რძე გამოირჩევა მაღალი ბიოლოგიური სრულფასოვნებით და წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ საკვებ პროდუქტებს.

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე განუწყვეტლივ იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაზრდას, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდას, რაც თავისთავად მოითხოვს მეცხოველეობის განვითარებას, მის გადასვლას თანამედროვე ინდუსტრიულ რელსებზე.

მეცხოველეობის განვითარება დამოკიდებულია მდგრადი საკვები ბაზის შექმნაზე [25,47,53,56,57,] რაც მოითხოვს საკვებწარმოებისათვის საჭირო მანქანების სრულყოფას მათ შორის ტექნოლოგიურ კავშირის დახვეწილი ფორმების დამუშავებას და სათანადო მანქანათა სისტემის შექმნას [58,52,50,]

საკვებწარმოების მანქანები მსოფლიო ბაზარზე კონსტრუქციის მიხედვით ძალზე მრავალფეროვანია [61,87,85], რაც აიხსნება სამუშაო ორგანოების მრავალფეროვნებით, აგრეგატების სახეების სიმრავლითა და ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექნოლოგიური და კონსტრუქციული მახასიათებლებით. ამასთან საკვების ამდები მანქანების ფუნქციონალურ თვისებებს ზრდის საცვლელი მოწყობილობები [87], რომლებიც შესაძლებელს ხდის დავამზადოთ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საკვების სახეები.

ჩვენი ქვეყანა ოდითგან მისდევდა სოფლის მეურნეობას, რომლის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხოველეობა. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები უდიდეს შესაძლებლობას იძლევა მეცხოველეობის მაღალხარისხის პროდუქტების წარმოებისათვის. ჩვენი ქვეყნის მთიანი მხარეებისათვის (კუთხეებისათვის) მეცხოველეობა ერთ-ერთი ძირითადი დარგია, ზოგი რაიონისათვის კი ერთადერთი. ამით უნდა ავხსნათ საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებული დამოკიდებულება მეცხოველეობისადმი.

საქართველოს ბუნებრივი და ნათესი საგარეულები საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ ვაწარმოოთ მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო მდგრადი და მაღალხარისხოვანი საკვები, მათ შორის სენაჟი. ამისათვის საჭიროა, ცალ-ცალკე სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა: 1. გაუმჯობესდეს და გაიზარდოს ბუნებრივი საძოვრების მოსავლიანობა, რაც თავისმხრივ მოითხოვს ერთის მხრივ ბალახული კულტურების დათევ-ვას, ხოლო მეორეს მხრივ საჭიროა განვახორციელოთ მათი გამოკვება, ნია-დაგების მიხედვით, საჭირო მინერალური სასუქებით; 2. ფერმერები აღიჭურ-ვოს თანამედროვე საკვებ-დამამზადებელი მანქანებით და მზა საკვების შესა-ნახი სათავსოებით.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, რომ აწარმოო კონკურენტუნარიანი და დაბალი თვითდირებულების პროდუქტები, უპირველეს ყოვლისა საჭიროა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დროული დანერ-გვა სოფლის მეურნეობაში. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა განიცდის სტრუქტურულ ცვლილებებს, რომელშიც მკვიდრდება მეურნეობ-რიობის მრავალი ფორმა, იგი მოითხოვს ტექნიკურ გადაიარადებას.

საქართველოს ტერიტორიის მრავალფეროვნება, კერძოდ მთიან რეგიო-ნებში, სახნავ-სათესი მიწების სიმცირისა, მისი მცირეკონტურიანობისა, როუ-ლი კონტურიანობისადა არაკანონზომიერად ცვლადი რელიეფის გამო, შეზღუდულია მიწათმოქმედების განვითარება, რომელიმე დამახასიათებელი კულტურის კომპლექსური მექანიზაცია, ამიტომ ასეთ რაიონებში უფრო ფარ-თოდ, მხოლოდ მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობაა.

ქვეყნის კლიმატური პირობები რეგიონების მიხედვით ძალზე მრავალფე-როვანია, რამაც თავისთავად გამოიწვია სოფლის მეურნეობის მრავალდარ-გობრიობა, დაწყებული ციტრუსის წარმოებიდან დამთავრებული მეცხოვე-ლეობის პროდუქტების წარმოებით. ასევე განსხვავებულია პირუტყვის საკვე-ბი ბაზაც. როგორც ავტორები [32, 33] მიუთითებენ, იმ ზონებში (I, II, III), სადაც ფართობების უმეტესი ნაწილი სახნავ-სათესია, ბუნებრივი საძოვრები შემცირებულია და პირუტყვს ზაფხულის პერიოდშიც კი დანამატის სახით ეძლევა კონცენტრირებული საკვები, ხოლო იქ სადაც მცირეა სახნავ-სათესი ფართობები, დიდია ბუნებრივი სათიბ-საძოვრების წილი; ასეთია IV, V, VI და VII ზონაში განლაგებული რაიონების მიწის ფონდი, რომელიც ძირითა-

დად მთაგორიანია, სადაც ჯიშიან მსხვილფეხა-რქოსან პირუტყვს (მრპ) მოძრაობა უჭირს.

საქართველოს მთაგორიანი ველ-მინდვრები ზაფხულობით იფარება მრავალფეროვნი საკვები ბალახებით, რომლებიც საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს და სათიბებს წარმოადგენენ, განსაკუთრებით IV, V, VI და VII ზონაში განლაგებულ რაიონებში, სადაც ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობს პირუტყვის საზაფხულო ბანაკური შენახვა და საზამთროდ თივის დამზადება.

ბალახეულ კულტურებს, რომელიც ცხოველისათვის წარმოადგენს საუკეთესო საკვებს, ყოფენ სამ ჯგუფად: სარწყავი, მდელოს და ნათეს ბალახებად [15,23,47,55]. მათი სიხშირე 1m^2 -ზე ცვალებადობს საკმაოდ დიდ ზღვრებში 2000-20000მდე. ისინი ყვავილობის პროცესში შეიცავენ მაქსიმალური რაოდენობის საკვებ და არომატულ ნივთიერებებს. ბალახეული კულტურული შეიძლება დაგამზადოთ თივა, სენაჟი და სილოსი.

სენაჟი მიიღება ბალახეული კულტურებიდან, რომლის ტენიანობა 50-55% და დაკონსერვებულია, ე. ი. ასეთ მასას ვინახავთ ანაერობულ პირობებში. სასენაჟე მასის დაკონსერვება მიმდინარეობს ფიზიოლოგიურად მშრალ გარემოში. 50-55%-მდე ტენიანობის მცენარეულ უჯრედებში იქმნება პირობა, რომელიც აღემატება მრავალი ბაქტერიების შემწოდ ძალას. ასეთ ტენიანობის მასაში სიდამპლისა და ზეთოვანმჟავა ბაქტერიები ცუდად მრავლდებიან.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა საკუთრების რეფორმამ გამოიწვია არსებული მსხვილი მეცხოველეობის ფერმების და კომპლექსების გაუქმება-დაშლა და მათ ნაცვლედ ჩამოყალიბდა მცირე გლეხური ფერმერული მეურნეობები, მაგრამ მათთან ერთად არსებობს საშუალო 100, 200 და 400 სულიანი მრპ-ს ფერმები.

სახელმწიფო ქონების რეფორმამ ქვეყანაში გამოიწვია მრპ რაოდენობის გაზრდა, რაც გამოწვეულია ქართველი გლეხის განთავისუფლებით იმ სახელმწიფო შეზღუდვებისაგან, რაც ახასიათებდა საბჭოურ კომუნისტურ სისტემას. მაგრამ მასვე მოჰყვა მრპ ჯიშების გაუარესება (დეგრადაცია), რის მიზეზიცაა უკონტროლო, უჯიშო და მცირე ასაკის მქონე ბუღა-მწარმოებლების (მოზვრების) მიერ ფურების განაყოფიერება. ამიტომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო საზღვარგარეთიდან ერთის მხრივ გრძელვადიანი და

დაბალპროცენტული განაკვეთით სესხების გაცემა მაღალმწარმოებლური ფურების ჩვენს ქვეყანაში შემოყვანისათვის, ხოლო მეორეს მხრივ საზღვარგარეთიდან ჯიშიანი ბუდამწარმოებელის სპერმის შემოტანა და ამ სპერმით ადგილობრივი ჯიშების შერჩევითი განაყოფიერება.

გაიზარდა მრავალ პროდუქტების წარმოება, მაგრამ ამასთან ერთად გაიწინდა ახალი პრობლემები, მოიშალა ფერმებში არსებული საკვების საამ-ქროები და შესაბამისად შეწყდა საკვების კვებისწინა შემზადება, რაც თავისთავად არასასურველ პირობებს ქმნის ცხოველთა გამოკვებისათვის. ამასთან გაიზარდა ერთეული წარმოებული პროდუქციისათვის საჭირო შრომის ხარჯი, რადგან თითქმის ყველა სამუშაო სრულდება ხელით. ამასთან მცირე ფერმერული მეურნეობის პირობებში შეუძლებელია პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა, პირიქით უარესდება მისი ჯიშობრივი თვისებები და შესაბამისად მცირდება მისი პროდუქტიულობაც. ასევე შეუძლებელია და არა რენტაბელურია ყველა საჭირო სამუშაო პროცესების სრული მექანიზაცია და მითუმეტეს ავტომატიზაცია, რომელიც მოითხოვს დიდი რაოდენობის კაპიტალ დაბანდებას, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებისას, მცირე ფერმერულ მეურნეობის პირობებში.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი დარგის განვითარება დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან და სახალხო მეურნეობაში მათ დროულ დანერგვასთან [3,11,15]. ყოველწლიურად იზრდება და კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ადამიანის ტექნიკური და ენერგეტიკული აღჭურვილობა. პროდუქციის წარმოების ციკლში ინტენსიურად ინერგება ისეთი ტექნოლოგიები, სადაც ოპერაციები მიმდინარეობს თანამედროვე კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დიდ ფერმებსა და კომპლექსების პირობებში, სადაც შესაძლებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები და მათი მწარმოებლობა. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შევამციროთ ერთეულ წარმოებულ პროდუქციაზე საკვებისა და შრომითი დანახარჯები, რაც თავის მხრივ შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

იმისათვის რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხისხორცისა და რძის პროდუქტებით და ამასთან მოვახდინოთ მისი ექსპორტი, საჭიროა მეხორცული და მერძეული მიმართულების მსხვილ-

ფეხა პირუტყვისათვის, ქვეყანაში შეიქმნას მყარი საკვები ბაზა, რაც მოი-
თხოვს საკვების დამზადებისათვის ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური
საშუალებების დაწერგვას, რომელიც შესაძლებელს გახდის მეწველი და
მეხორცული მიმართულების საქონლისათვის დამზადდეს სენაჟი და სილოსი,
მათ შორის „შეფუთული სენაჟი“ ახალი ტექნოლოგით საზღვარგარეთიდან
შემოტანილი მანქანათა სისტემის გამოყენებით. ამასთან უნდა აღინიშნოს,
რომ საქართველოში მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება ხდება
მცირე კონტურიან, ფერდობზე განლაგებულ, გზისპირა და ტყისპირა
ნაკვეთებზე, სადაც საზღვარგარეთიდან შემოტანილი სერიული მანქანების
გამოყენება შეუძლებელია. ასეთ პირობებში მიზანშეწონილია დამუშავდეს
შესაბამისი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები.

თავი I. სენაჟის დამზადების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების მიმოხილვა; პკლევის მიზნები და ამოცანები.

1.1. სენაჟი, როგორც საკვები და მისი მნიშვნელობა პირუტყვთა რაციონში

მეცნოველეობის პროდუქტების წარმოება და მისი თვითდირებულება ძირითადად დამოკიდებულია საკვებზე [19,20,21]. ზოგადად ცნობილია, რომ მეცნოველეობის პროდუქტების წარმოებისას გაწეული დანახარჯები, ფულადი სახით, 45–55% მოდის საკვებზე. მრპ-ის, როგორც მცოხნელის, რაციონში უდიდესი ადგილი უკავია ღეროვან საკვებს [18], რომლის ხარისხზე დიდადად დამოკიდებული პირუტყვის საკვების კვებითი დირებულება. ტრადიციულად ზამთრის პერიოდისათვის მეწველი პირუტყვის საკვებს წარმოადგენს თივა და სილოსი, რომლებიც ხასიათდებიან დაბალი კვებითი დირებულებით, რაც მეცნოველეს აიძულებს ზამთრის პერიოდში რაციონი გაამდიდროს კონცენტრირებული საკვებით.

ამ საკვებთა ალტერნატივას წარმოადგენს სენაჟი [14,15,16], რომელსაც სრულად შეუძლია შეცვალოს თივა და სილოსი. ეს არის ზამთრის საკვების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც მაქსიმალურად ინახავს საკვების კვებით დირებულებას. მაგალითად 100გგ სენაჟი შეიცავს 35–45გგ. საკვებ ერთეულს, 450–460გ კალციუმს, 200–220 გ ფოსფორს, 3000 –4000მგ კაროტინს. დაბალი 43–52 % ტენიანობის გამო არ იყინება.

მსოფლიოში ბოლო 30 წლის მანძილზე ყოველწლიურად იზრდება სენაჟის წარმოება, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურების და პარკოსანი კულტურების დამოუკიდებელი დაკონსერვებული მასის ან ნარევის სახით. ასეთი მასის დამზადებისას სასენაჟე მასის დაჭურვა მიმდინარეობს პასტის მიღებამდე, რომელიც შემდეგ საუკეთესო დანამატს წარმოადგენს საკვების მომზადებისას. დღეისათვის მოცულობით საკვებში იგი 50% შეადგენს [16].

სენაჟის დამზადებისას ტექნოლოგიის დაცვა, შესაძლებელს ხდის რაციონში შევამციროთ კონცენტრირებული საკვები. მეწველი პირუტყვის კვები-

სას ხარისხიანი სენაჟი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ერთადერთი მოცულობითი საკვები [21,53].

საკვების ხარისხის გაზრდა წარმოადგენს ერთ-ერთ რეალურ და შესამჩნევ რეზერვს მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად [53]. საკვების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა არის კომპლექსური, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს საკვები ნედლეულის წარმოების დროს; ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასენაჟე მასის ჩასადებ საცავში ჩადების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და ეკოლოგიური უსაფრთხოება. ანალიზის შედეგად დადგენილი სილოსის ქიმიური შემადგენლობა მოყვანილია ცხრილში 1.1.

საწყისი მასის ქიმიური შემადგენლობა და მზა სილოსის ბიოლოგიური და ქიმიური კონსერვანტები (გაგ) ნატურალულ საკვებში.

ცხრილი 1.1.

	მაჩვენებელი	საწყისი მასა	უკონსერვანტო კონტროლი	სენაჟი ბიოტო ფოთით	სენაჟი ბიოტალომით	სენაჟი ი აიბ-200	სენაჟი აიბ-200 3ლ ბ	სენაჟი აიბ-4ლ ბ
	2	3	4	5	6	7	8	
	ტენი	523,4	557,2	542,9	539,8	534,4	530,5	
	მშრალი ნივთიერება	476,6	442,8	457,1	460,2	465,7	469,5	
	ორგანული ნივთიერება	435,4	404,3	413,4	419,8	426,7	430,8	
	პროტეინი	61,8	58,4	58,1	56,9	64,5	63,1	
	ცხიმი	17,0	19,6	19,4	17,8	19,0	18,8	
	უჯრედო-განა	136,3	152,9	147,5	150,5	146,4	141,8	
	ნებ	220,3	173,4	188,4	194,6	196,8	207,1	
	კაროტინი	34	22	25	27	29	31	

სენაჟი ტრადიციულად წარმოადგენს როულ საკვებს, ამიტომ მკაცრად უნდა იყოს დაცული მისი დამზადების ტექნოლოგია. ხარისხობრივი და რაოდენობრივი დანაკარგები მიმდინარეობს მისი დამზადების ყველა ეტაპზე: მინდორში შრობისას, არა საკმარისი გამკვრივებისას (დაწესება), არასრული პერმეტულობისას, სასენაჟედან ამოღებისას და დარიგებისას. ავტორი [57] მიუთითებს, რომ დამზადებული სენაჟის ჯამური დანაკარგი 20-25%-სშეადგენს.

სენაჟში, სილოსთან შედარებით, მცირედ მიმდინარეობს რძემუავა ბაქტერიებით გამოწვეული დუღილი. ამიტომ ასეთი საკვები მცირედ მუავდება, ვიდრე სილოსი და იგი ნაკლებად განსხვავდება ახლად მოთიბული ბალანსისაგან. მხოლოდ ობის წარმომქმნელ სოკოვან ბაქტერიებს, აქვთ შედარებით დიდი შეწოვის ძალა, ვიდრე სხვა ბაქტერიებს, ამიტომ სოკოვან ბაქტერიებს შეუძლიათ განვითარდნენ 50-55% ტენიანობის ბალახებში. სოკოვანი ბაქტერიების განვითარების შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ სასენაჟე მასის პაერისაგან სრული იზოლაციით (პერმეტულობით). სილოსთან შედარებით სენაჟში მეტად ინახება შაქარი და ნაკლებად გროვდება მუავები.

სხვადასხვა ქვეყნების: აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, უკრაინის, ბელორუსის, ყაზახეთის, რუსეთის, უზბეკეთის და სხვა ქვეყნების ფერმურული მეურნეობების მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, პრაქტიკულად შეფასებულია „შეფუთული“ სენაჟის გამოყენების საერთო ეფექტიანობა[50].

ლიტერატურაში ცნობილია [50,58], რომ ჩატარებული კვლევებით, რომლის მიზანი იყო სენაჟის გამოყენების ეფექტურობა, დადგინდა, რომ სენაჟი ამცირებს საკვების ხარჯს ერთეულ წარმოებულ პროდუქციაზე. კერძოდ, თუ 4,5კგ თივას და 7,0კგ ჭარხალს შევცვლით 9,0კგ სენაჟით, წველადობა გაიზრდება 0,9%-ით; შემცირდება საკვები ერთეულის დანახარჯი 0,08%-ით, რომელიც დირებულების სახით იქნება 25,7%.

მეწველი პირუტყვის რაციონში სენაჟის გაზრდა 9–10კგ-დან 20კგ-მდე, 10კგ სილოსის და 14კგ საკვები ჭარხალის ნაცვლად, წველადობას ზრდის 5,7%-ით, ხოლო ყოველ 1 ლ მოწველილ რძეზე დანახარჯი საკვების სახით მცირდება 0,13 საკვები ერთეულით.

სენაჟის მუავიანობა (pH), იმის მიხედვით თუ რომელი სახის ბალახია გამოყენებული, ცვალებადობს ზღვრებში 4,4-5,5 [58]. სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის დაცვისას, საკვები ნივთიერებების საერთო დანაკარგი სენაჟში, ბალახთან შედარებით შეადგენს 15%-ს. ე.ი. სამყურა ტიმოფეევკას მასისაგან დამზადებული სენაჟის კვებითი დირებულება იცვლება 1-დან-0,67მდე, იმის მიხედვით თუ რომელ ფაზაში მოვახდენთ სასენაჟე მასის გათიბვას. ამასთან 1კგ ბალახისგან შეიძლება მივიღოთ 0,2კგ თივა, რომლის კვებითი დირებულება 0,24 საკვები ერთეულის ტოლია, მაშინ როცა იმავე

მასის გათიბული ბალახისგან, სენაჟის დამზადებისას მივიღებთ 0,526 საკვებ ერთეულს, რაც 10-ჯერ და მეტად აღემატება თივის კვებით დირებულებას.

სენაჟის კვებითი დირებულება დამოკიდებულია ბალახის ვეგეტაციის ფაზაზე და სასენაჟე მასის-ბალახის საწყის ტენიანობაზე [58,59,60,61]. სხვა-დასხვა ფაზაში დამზადებული, ბალახის სენაჟის კვებითი დირებულება სხვა-დასხვაა. იგი რომ იყოს მაღალი კვებითი დირებულების უნდა შეესაბა-მებოდეს ცხრილებში 1.2, 1.3 მოცემულ სიდიდეებს (მონაცემები აღებულია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის – ВНИИкорმ მიერ).

ბალახის სენაჟის კვებითი დირებულება

ცხრილი 1.2.

ბალახის სახე	აღების ფაზა	1 კგ საკვებში არსებული მშრალი ნივთიერებები		
		საკვები ერთეულები	მონელებადი პროცენტი, გრ	
2	4	5	6	
სამყურა ტიმოფევვაძა	დაღეროვნება	1,0	138	
	კოკრიანობა	0,87	85	
	ყვავილიობა	0,67	62	
იონჯა	კოკრიანობა	0,85	140	
	ყვავილიობა	0,81	116	
სამყურა	კოკრობის დასაწყისი	0,93	142	
	კოკრიანობა	0,86	123	
	ყვავილობა	0,76	102	

სენაჟის მასის კვებითი დირებულება ტენიანობის მიხედვით

(მონაცემები მიღებულია მეცხოველეობის ინსტიტუტის და ლატვიის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ)

ცხრილი 1.3.

ბალახი	მასის % ტენიანობა	100კგ. სენაჟში არის				
		საკვები ერთეული	მონელებადი პროცენტი, გრ.	კალციუმი გრ.	ფოსფორი გრ.	კაროტინი გრ.
2	3	4	5	6	7	8
სამყურა	60-მდე	30-35	3,5-4,5	380-450	90-100	3,3
სამყურა	50-მდე	38-42	4,5-5,5	500-520	100-20	4,1
ცერეცო -ქერით	50	30	2,9	380	100	4,4

	ცერემონიუმი	60	36	3,3	470	130	5,0
--	-------------	----	----	-----	-----	-----	-----

მეწარმეთა პირუტყვის ზამთრის საკვებ რაციონში უდიდესი ადგილი უკავია სენაჟს, რომლის ნორმები საქართველოს პირობებისათვის წლიურ საკვებ რაციონში % - ლად მოტანილია ცხრილში 1.4.

სენაჟის კლასის და ხარისხის დადგენის ნორმები

ცხრილი 1.4.

№	მაჩენებლების დასახელება	სენაჟის კლასი		
		1	2	3
1	2	3	4	5
1	მშრალი ნივთიერებების მასური ნაწილი %-ში	40-60	40-60	40-60
2.				
ენაჟში პროტეინის მასური ნაწილი %-ში ბალახეული კულტურების მიხედვით არა უმცირეს:				
2.1	პარკოსანი კულტურები (გარდა სამყურის)	16	14	12
2.2	სამყურა	15	13	11
2.3	მარცვლეული – პარკოსანი ბალახები	13	11	3
2.4	მარცვლეული ბალახები	12	10	8
3.				
ენაჟში პროტეინის მასური ნაწილი %-ში ბალახეული კულტურების მიხედვით არა უმეტეს:				
3.1	მშრალ ნივთიერებაში უჯრედოვანა	30	33	35
3.2	მშრალ ნივთიერებაში ზეოვანი მყავები	-	0,3	0,6
3.3	მშრალ ნივთიერებაში ზეობი	10	11	13

საქართველოს პირობებში საკვების სანიმუშო ნორმები პირუტყვის წელიადობის მიხედვით

ცხრილში 1.5.

წელიადობათივა	სენაჟი	წალა	სილოსი	ძირხვენები	წლიური საკვები რაციონის, % სტრუქტურა		
					წველი	საკვები	სულ
2	3	4	5	6	7	8	9
2500	9	8	-	17	2	50	14
3000	8	8	-	17	4	48	15
							100
							100

	3500	7	7	-	16	3	47	20	100
	4000	8	7	-	14	3	45	23	100
	4500	8	6	-	12	3	43	28	100

**12. ბუნებრივი ბალანსები, კულტურული მცენარეები, და მათი ნარევები,
რომლებიც გამოიყენება სენაჟის დასამზადებლად**

იმისათვის რომ დამზადებული სენაჟი პასუხობდეს წაყენებულ მოთხოვნებს, საჭიროა მის დასამზადებლად გამოვიყენოთ მრავალწლიანი პარკოსანი კულტურები [1,17,47], როგორიცაა სამყურა, იონჯა, ექსპარსეტი და მათი ნარევი მდელოს მარცვლოვან ბალანსებთან. პარკოსან მცენარეებს თიბავენ კოპრობის პერიოდის დასაწყისში; მარცვლოვან ბალანსებს კი თიბავენ, როცა მისი ნაყოფი შედის სიმწიფის ფაზაში, არა უგვიანეს მისი დათავთავების პერიოდში.

სენაჟის დამზადებისათვის ყველაზე უკეთესია ბალანსის მოთიბვა ვაწარმოოთ ნაყოფის-მარცვლის ცვილისებრი (რძისებრი) სიმწიფის პერიოდში, რადგან ამ დროს მცენარეში არის მაქსიმალურად დაგროვილი საკვები ნივთიერებები; ამიტომ ასეთი საკვები წარმოადგენს მაღალი კვებითი დირებულების საკვებს.

ხარისხიანი სენაჟის დამზადებისათვის საჭიროა, რომ ასაკრეფი მწვანე მასის ტენიანობა იყოს 50-55%-ის. ზოგიერთი ავტორი კი მიუთითებს, რომ სენაჟის დასამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ 45-60% ტენიანობის მასა [62], ზოგი უფრო დაბალი 40-55% ტენიანობის მასასაც მიუთითებს [61].

ბოლო პერიოდში [64] სენაჟის დასამზადებლად ერთწლიან მარცვლოვან და პარკოსან ბალანსულ კულტურებთან ერთად, გამოიყენება საფურაჟე მარცვლეული კულტურები, რომელთა მოთიბვა მიმდინარეობს ცვილისებრ სიმწიფის პერიოდში, ამიტომ მას უწოდებენ „მარცვალსენაჟს“ ე.ი. „მონოსაკვებს“. აღნიშნული საკვები მზადდება მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალანსებისგან, რომელთა აღება მიმდინარეობს გაცილებით აღრეულ პერიოდში, ამ პერიოდში მარცვალი ჯერ კიდევ არაა შესული ცვილისებრ სიმწიფეში. მარცვალსენაჟი მზადდება იმავე ტექნოლოგიით და პრინციპით, რა სახითაც მზადდება ჩვეულებრივი სენაჟი [65].

საკვებში, რომელიც მზადდება მხოლოდ მარცვლეული (ქერი, შვრია) კულტურებისგან, მონელებადი პროტეინი ერთ პგ საკვებ ერთეულში არის

მხოლოდ 60-65 გრ [66]. პარკოსან კულტურებში (ცერცველა, იონჯა, ბარდა), შესაძლებელია დაკონსერვებულ საკვებში მივაღწიოთ ერთი საკვები ერთეულის ზოოტექნიკურ ნორმებს (100-105 გრ). მარცვლეული საკვების ცვილისებრ სიმწიფეში აღებისას იგი შეიცავს 30-35%-ით მეტ საკვებ ერთეულებს, ვიდრე რძისებრ სიმწიფეში, 20-25%-ით მეტს ვიდრე მარცვლის სრული სიმწიფისას, ამიტომ სენაჟის დასამზადებლად გამოიყენება მწვანე სიმინდი [65], რომლის კვებითი დირებულება მოცემულია ცხრილში №1.6.

სიმინდის მასისგან დამზადებული საკვების კვებითი დირებულებები

ცხრილი 1.6.

№	განვითარების ფაზა	ერთ კგ. მშრალ ნივთიერებაში შედის								
		Cв %	Cз %	СП %	Ск %	Ое мдж.	СА გ·	p გ·	Mg. გ·	Na. გ·
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ტაროს ჩამოყალიბების დასაწყისი	17	71	90	277	9,6	4,6	3,0	1,6	0,9
2	სიმწიფის დასაწყისი	22	59	91	233	10,1	3,9	2,6	2,3	0,4
3	ცვილისებრ სიმწიფეში	27	52	89	212	10,5	2,8	2,2	2,0	0
4	ცვილისებრ სიმწიფეში, ტაროს მასსა M=50%-ს	32	48	90	185	11,1	2,8	2,2	2,0	0

1.3. სენაჟის დამზადება კონსერვანტების გამოყენებით

ლიტერატურული წყაროების ანალიზით [17,18,21] ირკვევა, რომ სენაჟის დამზადების ორი ძირითადი ხერხია ცნობილი:

1. სასენაჟე 50–55% ტენიანობის მწვანე შემჭრარი მასის ბუნებრივი დაკონსერვება. ამ დროს 20–30მმ–ის სიგრძეზე დაქუცმაცებული სასილოსე მასა, სპეციალურ საცავში გამკვრივდება 300–400 კგ/მ³–მდე და ჰერმეტულად გადაიხურება პოლიეთილენის აფსკით, რომელსაც ზემოდან გადაეფარება თბოსაიზოლაციო მასალა (მიწა, თივა, უხეში საკვები, ჩალა და ა. შ.);
2. სასენაჟე იგივე სახის მასა კონსერვანტებთან ერთად ჩაიდება იმავე სახით, როგორც ბუნებრივი დაკონსერვებისას.

საკვების დაკონსერვებისათვის აუცილებელია დუღილის პროცესი, რომლის დროსაც საკვებში გროვდება იმდენი მჟავები, რამდენიც საჭიროა საკვების დაკონსერვებისათვის. ამ დროს 20–30%–მდე იკარგება საკვებში არსებული ბიოქიმიური ნივთიერებები [60], მათ შორის პირველ 7 დღეს 10%. იმისათვის, რომ მიიღონ მაღალხარისხოვანი საკვები, იყენებენ კონსერვანტებს, ამით შესაძლებელი ხდება საკვებში მივიღოთ ოპტიმალური მჟავიანობა (pH=4,2–4,5) და შევინარჩუნოთ საკვების ბიოქიმიური შემადგენლობა.

როგორც ზემოთ აღწერილიდან ჩანს, სასენაჟე მასის ბუნებრივი და ხელოვნური დაკონსერვება ერთნაირია, განსხვავებაა მხოლოდ გამოყენებულ კონსერვანტებში. დღეისათვის გრძელდება კვლევები, დასაკონსერვებელი სასილოსე მასის კონსერვანტებით დუღილის შესახებ 5–30დღე–დამის გამნავლობაში, რომლის მონაცემები მოტანილია ცხრილში 1.7.

სენაჟის მასაში ნახშირორჟანგის გამოყოფის დინამიკა

ცხრილში 1.7.

№	სენაჟი	5 დღე–დამის შემდეგ	15 დღე–დამის შემდეგ	30 დღე–დამის შემდეგ
1	2	3	4	5
1	საკონტროლო კონსერვანტების გარეშე	445 ± 13	764 ± 13	998 ± 13
2	ბიოტროფით	595 ± 27	692 ± 17	763 ± 14
3	ბიოტალით	514 ± 45	585 ± 29	609 ± 33
4	АИВ-2000 პლიუს 3 ლიტრი/ტ-ზე	294 ± 13	321 ± 9	303 ± 11
5	АИВ-2000 პლიუს 4 ლიტრი/ტ-ზე	197 ± 7,5	275 ± 7,5	337 ± 7,5

ლიტერატურული მასალებიდან [18] ცნობილია, რომ გაზრდილი 4 ლიტრი რაოდენობით კონსერვანტის „АИВ-2000 პლიუს“ შეტანისას დუღილის ინტენსივობა მცირდება 14,2%-ით, ხოლო ბიოლოგიური კონსერვანტების გამოყენების შემთხვევაში, ბიოქიმიური პროცესები მცირდება 1,3–1,6 ჯერ, ვიდრე საკონტროლოში, მაგრამ 1,5–2,3 ჯერ მეტად ვიდრე ქიმიური კონსერვანტების შემთხვევაში.

საყურადღებოა, რომ ნახშირორჟანგით დაკონსერვებისას პირველ 5 დღე-დამეში საერთო მასიდან გამოიყოფა 78–84% რძემჟავა, როცა საკონტროლოშია მხოლოდ 45%. ეს გამოწვეულია ბიოკონსერვანტის ჩათვესილი მიკროორგანიზმების აქტიური მუშაობით.

იმავე ლიტერატურიდან, ერთი თვის შემდეგ მასაში ორგანოლეპტიკური შეფასებით, რომელიც მიმდინარეობდა ჩადებიდან ყოველ თვე, აჩვენა, რომ სენაჟი ქიმიური კონსერვანტებით ხასიათდებოდნენ დაბალი სიმჭავის სუნით, იმ დროს როცა, ყველა დანარჩენს ჰქონდა ხილის სიმჟავე. გადამწყვეტ პირობას, რომელიც განსაზღვრავს საკვების ხარისხს, წარმოადგენს ნივთიერებათა მჟავე რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს ორგანოლეპტიკური მჟავებით, განსაკუთრებით რძემჟავა, ძმარმჟავა და საკვებში არსებული შაქრებით.

ცდების დროს, როგორც მიუთითებს ავტორი [18], საკონტროლოსთან შედარებით, შეიმჩნეოდა უფრო დაბალი სიმჟავის pH = 4,50–4,72 რეაქციები, ნაცვლად pH = 4,91. ცდების შედეგები მოცემულია ცხრილში 1.8.

სხვადასხვა კონსერვანტებით დაკონსერვების ეფექტურობის მაჩვენებლები ცხრილი 1.8.

№	სენაჟი	pH	ამიაკის შემცველობა, %	მშრალი ნივთიერებების დანაკარგი, %
1	2	3	4	5
1	საკონტროლო კონსერვანტების გარეშე	4,91	0,128	16,8
2	ბიოტროფით	4,68	0,113	14,2
3	ბიოტალით	4,50	0,108	13,7
4	АИВ-2000 პლიუს 3 ლიტრი/ ტ-ზე	7,72	0,090	12,9
5	АИВ-2000 პლიუს 4 ლიტრი/ ტ-ზე	4,64	0,086	12,8

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, უმჯობესია სენაჟი ვაწარმოოთ კონსერვანტების გამოყენებით, თუმცა მისი გამოყენება თავისთავად ზრდის

წარმოებული სენაჟის შრომატევადობას და თვითდირებულებას, ამიტომ წინასწარ უნდა განხორციელდეს გათვლა და ისე ვაწარმოოთ სენაჟის სხვა-დასხვა სახით დამზადება.

1.4. სენაჟის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგიები

მრპ-ის ზამთრის სეზონში გამოსაკვებად შეიძლება გამოვიყენებული იქნეს სხვადასხვა სახის და ურთიერთ განსხვავებული ტექნოლოგიით შენა-ხული საკვები, როგორიცაა სილოსი და სენაჟი. ამათგან მაღალი კვებითი დირებულებით ხასიათდება სენაჟი.

სენაჟის დამზადება ნაკლებადაა დამოკიდებული კლიმატურ პირო-ბებზე, ვიდრე თივის დამზადება. სასენაჟედ მოთიბული მასა სასურველ ტენიანობამდე 45-55%-მდე, რომ დავიდეს, იმის მიხედვით, თუ როგორია მოთიბვის პროცესში მწვანე მასის ტენიანობა, კარგ ამინდში საკმარისია 2-4 საათი, ზოგიერთი მაღალტენიანი ბალახის შემთხვევაში 4-7 საათი, ხოლო ღრუბლიან ამინდში კი ეს დრო საკმაოდ დიდია 1-2 დღე [14,15,16]. ცვლადი ამინდის პირობები ბალახეული კულტურების სასენაჟედ აღებისას შესაძლებ-ლობას იძლევა გავზარდოთ აღების ტემპი, ამასთან იზრდება მასაში საგვები ნივთიერებების რაოდენობა და უმჯობესდება მათი მონელება, ამასთან რაც უფრო მცირეა მასის დაჭინობის და სასენაჟე მასის ჩადების დრო, მით მაღალია მიღებული საკვების კვებითი დირებულება [16]

სენაჟის დამზადებისას ბალახის აღება წარმოადგენს მეორად ფაქტორს და ნაკლებ გავლენას ახდენს დამზადებული საკვების ხარისხზე, საკვებში მონელებადი პროცესის რაოდენობაზე, უჯრედოვანას ვიტამინების და სხვა საკვებ ელემენტების რაოდენობაზე.

სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის დაცვისას კვებითი დირებულებების დანაკარგი არის შედარებით მცირე, ვიდრე თივისა და სილოსის დამზა-დებისას.

შრომითი დანახარჯები სენაჟის დამზადებისას შედარებით მცირეა, ვიდრე სხვა სახის საკვების დამზადებისას [16]. ყოველ ერთი საბეჭი ერთეულის თივის დასამზადებლად იხარჯება 2,4 კაც.სთ; სილოსის დროს 1,1, ხოლო სენაჟის დამზადებისას 0,8კაც.სთ. ეს განპირობებულია ძირითადად იმით, რომ სენაჟის კვებითი დირებულება გაცილებით დიდია, ვიდრე სილო-სის. ამასთან სენაჟის ყოველი საკვები ერთეულის დამზადება მოითხოვს

შედარებით ნაკლებ კაპიტალურ დანახარჯებს, შესანახი სათავსოების მოსაწყობად.

მაღალხარისხიანი სენაჟის დამზადებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს, მწვანე მასის მოთიბვის სიმაღლეს. ბალახის მოჭრის ყველაზე ოპტიმალური სიმაღლეა 5-7სმ. მოჭრის სიმაღლის გაზრდა იწვევს მოსავლიანობის შემცირებას, ხოლო მოჭრის სიმაღლის შემცირება იწვევს დაჭუჭყიანებას და ბალახის ძირების დაზიანებას, რაც შემდგომი მოთიბვისათვის ამცირებს მოსავლიანობას. მოთიბული მასის სწრაფად და თანაბარი დაჭვნობისათვის, სასურველია მოთიბვის პროცესთან ერთად ვაწარმოოთ გათიბული მასის დატყვევება, ამის შედეგად გაჭკნობის პროცესი 1,5-2-ჯერ ჩქარდება. ამისათვის გამოიყენება თვითმავალი სათიბ-საქუცმაცებელი მანქანები.

დამჭკნარ მწვანე მასას, ბალახს აკრეფის პროცესშივე აქუცმაცებები 60-80მმ-ის სიგრძეზე, ამ დროს საკვები ნივთიერებების დანაკარგი მინიმალურია, ხოლო სენაჟის ხარისხი მაღალი. მრავალი მკვლევარის დაკვირვება გვიჩვენებს მწვანე დამჭკნარი მასის დაჭრის ოპტიმალური სიგრძეა 30მმ, რომელთა რაოდენობა მთლიან მასაში უნდა იყოს 75%. ტრანშეიში დამზადებისას მისი სიგრძე შეიძლება გაიზარდოს 50მმ-მდე. ეს გამოწვეულია იმით, რომ მცირე ნაწილებად დაქუცმაცება შესაძლებელს ხდის დატკეპნისას გავზარდოთ მასის სიმკვრივე.

იმისათვის, რომ ვაკონტროლოთ, სწორად მიმდინარეობს თუ არა სენაჟის დამზადება, უნდა ვაკონტროლოდ მასის ტემპერატურა. იგი არ უნდა აღემატებოდეს $308\text{-}310^{\circ}\text{K}$ ($35\text{-}37^{\circ}\text{C}$) გამჭკნარი მწვანე მასის ჩადებისას მასაში წარმოიქმნება შედარებით მეტი სითბო ვიდრე სილოსში. კოშკში ჩატვირთვის დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, ხოლო ტრანშეიში 3 დღეს. აქედან გამომდინარე სენაჟის დამზადებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სილოსის დამზადებისათვის განკუთვნილი ნაგებობის ფორმას და ზომებს. კოშკში სენაჟის ჩატვირთვისას მასის ტენიანობა უნდა იყოს 45-55% ხოლო ტრანშეიში 55-60%. ტენიანობის ქვედა დონე განსაზღვრულია მასაში ტემპერატურის აწევით – რაც წარმართავს მიკრობიოლოგიურ პროცესებს.

ტრანშეიში ჩატვირთვისას ძნელია სრულად გამოვდევნოთ ჰაერი, ამისათვის დასაშვებია დაქუცმაცებული მასა იყოს 60%-ანი. ასეთ საკვებში შესაძლებელია რძემუავა დუღილი მიმდინარეობდეს არა ინტენსიურად,

მაგრამ მისი როლი განსაზღვრულია და საკვები განიცდის დაობებას მშრალი ნივთიერებების დიდი შემცველობის გამო.

ჩატარებული ცდების შედეგები [25] მეტყველებს, რომ მწვანე მასის დაჭრის სიგრძე ასევე მოქმედებს საკვების პიოქიმიურ შემადგენლობაზე. ამ დასკვნას ადასტურებს შავჭრელი ჯიშის მრას მოზარდის გამოკვების შედეგები. ცდები ტარდებოდა სქემით: 26 დღე მომზადების პერიოდი და 90 დღე ძირითადი; ძირითადი დრო გაყოფილი იყო სენაჟით კვების სამ ქვეპერიოდებად; პირუტყვის დღე-დამური რაციონი შეადგენდა: მდელოს თივა 1კგ, სარწყავი ხორბლის ნამჯა 1კგ, სენაჟი 18კგ, მინერალური დანამატები და კონცენტრირებული საკვები იცვლებოდა ხორმის ზრდიდან გამომდინარე პირუტყვის ნამატი იყო ინტენსიური I-ში 21,8კგ, II-ში 22,2კგ. ამავე პერიოდში მინიმალური იყო III-ში 18,4კგ. სენაჟის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით. ამასთან იგი აისახა ორგანიზმში ნივთიერებათა მიმოცვლის პროცესზე, მესამე პერიოდში არასრულად მიმდინარეობდა რაციონში არსებული საკვები ნივთიერებების გამოყენება.

სასენაჟე ორმოს (ტრანშეის) მწვანე დამჭკნარი მასით დროული გაფსების მიზნით, მცირე სისქით მოაფენენ ახლად მოთიბულ მასას. ამისათვის იყენებენ პარკოსან და მარცვლეულ კულტურებს, რადგან დამჭკნარი სამურა ცუდად კონსერვირდება.

მასას ტკეპნიან 450-500კგ/მ³ სიმკვრივემდე ტრაქტორებით, უპირატესობას ანიჭებენ მუხლუხა ტრაქტორებს. შეგსების შემდეგ ჰერმეტულად ხურავენ პოლიეთილენის აპსკით, რომელიც წინასწარ კონტროლდება, რადგან ჰაერის მცირედი რაოდენობის მოხვედრითაც კი სენაჟი ობდება, რომლის დროსაც იკარგება დიდი რაოდენობით საკვები. იმისათვის, რომ კარგად გაეკრას საკვებს, პოლიეთილენის აპჟე აყრიან 10-15 სმ-ის სისქის მიწას, ტორფს ან ალაგებენ ჩალის ბარდანებს.

ბალახის სენაჟის კვებითი დირებულება ძალზე მაღალია [ცხ.1.6], 53,5%-ის ტენიანობის ნედლეულში 100კგ შეიცავს 35 საკვებ ერთეულს და 3,4კგ მონელებად პროტეინს; 50% ტენიანობისას შესაბამისად 37,8 და 3,7, ხოლო 45%-ის შემთხვევაში 45,3 საკვებ ერთეულს და 4,4კგ მონელებად პროტეინს.

სენაჟის დამზადებისათვის წინასწარ უნდა შევადგინოთ სასენაჟე მასის გათიბვისა და სენაჟის ჩადების-დამზადების გეგმა-გრაფიკი [14], რომელშიც მითითებული იქნება სათიბელების რაოდენობა, მათი მოდების განი, მწარ-


მოებლურობა, სათიბი მინდვრის მოსავლიანობა, ე.ი, გათიბული მასის მწარ-მოებლურობა. მისი დაყვანა სათანადო ტენიანობამდე, თვითეული სასენაჟე სათავსოს ტევადობა და მათი შევსების პერიოდი, შესაძლებლობას მოგვცემს ზუსტად დავიცვათ სენაჟის დამზადების ტექნოლოგია და შედეგად მიგიღოთ მაღალხარისხიანი და მაღალი კვებითი ღირებულების საკვები.

1.5. სასენაჟე ნაგებობები და მათი სახეები

სენაჟის დამზადების ტექნოლოგიიდან გამომდინარე, სასენაჟე მასა, რომელიც მოთიბვის შემდეგ შეჭკნა ისე, რომ მისი ტენიანობა დავიდა 50-55%-მდე [17,214,48], სენაჟად რომ იქცეს, საჭიროა ასეთი მასა $450-500 \text{ კგ/მ}^3$ -მდე გამკვრივდეს და პერმეტულად შევინახოთ, გრილ საკვების შესანახ სათავსოში. სენაჟის საცავი შეიძლება იყოს კაპიტალური ან დროებითი ნაგებობის სახით [იხ.სურ. 1.1, 1.2]. სენაჟისა და სილოსის დამზადების საწყის პერიოდში, ძირითადად გაგრცელება პპოვა სენაჟისა და სილოსის შესანახმა კაპიტალურმა ნაგებობებმა [სურ. 1.2].

სილოსისა და სენაჟის შესანახად გამოყენებული კაპიტალური ნაგებობა გვხვდება შემდეგი სახის:

I. ცილინდრული ფორმის მიწისზედა და მიწაში განლაგებული ორმო (სურ. 1.1); დაქუცმაცებული სასენაჟე მასის ჩადება მიმდინარეობს



სურ. 1.1. სასენაჟე კოშკების ბლოკი




- 1- სასენაჟე კოშკი, 2 - პნევმატიკური გადასაადგილებელი ჩამტვირთი,
- 3 - გადმომტვირთი, 4-5 - ლენტური სტაციონალური ტრანსპორტიორი,
- 6 -საკვებშემამზადებელი.

პნევმოტრანსპორტიორი, რომელიც სასენაჟე მასას გადაადგილებს კოშკის ზედა მხარეს, საიდანაც თანაბრად ნაწილდება სასენაჟე კოშკში. თუ კოშკის სიმაღლეა 16მ და მეტი, მასში ყოველდღიურად სასენაჟე მასა უნდა ჩაიდოს არა ნაკლებ 5მ სიმაღლეზე. სრული შევსების მაქსიმალური დროა 4 დღე. კოშკის შევსებიდან 15-18 დღეში სასენაჟე მასა განიცდის კოშკის სიმაღლის 1/3-1/4-მდე დაჯდომას, ამიტომ 18 დღის შემდეგ კოშკი უნდა შეივსოს. კოშკებში, რომელთა სიმაღლეა 10-12მ, საჭიროებები მასში სილოსის ჩადებისას მექანიკურ გამკვრივებას (დატკეპვნას).

კოშკის მწვანე შემჭკნარი მასით შევსების შემდეგ, საჭიროა თავზე 25-30სმ-ის სიმაღლეზე დაეყაროს ახლად მოთიბული დაქუცმაცებული ბალახი და მაშინვე გადაიხუროს პოლიეთილენის აფსკით.

თუ დაირდვა კოშკში სენაჟის ჩადების ტექნოლოგია, მაშინ მასაში აიწევს ტემპერატურა და შეიძლება მან მიაღწიოს 45°C და მეტს, რაც გამოიწევს კვებითი ღირებულებისა და მონელებადი პროტეინის შემცირებას.

2. თანაბარგვერდებიანი ტრაპეციის ფორმის მიწაში (სურ. 1.2 ა, ბ და გ; სურ. 1.3) ან მიწისზედა (სურ. 1.4) განთავსებული ტრანშეი (ორმო). სასილოსე ტრანშეიში (ორმოში) სენაჟის ჩადებისას სასენაჟე მასას განუწყვეტლივ ამკვრივებენ (ტკეპნიან) მუხლება ან მძიმე მაღალი კლასის თვლიანი ტრაქტორებით, ყოველდღიურად გამკვრივებული ფენის სისქე უნდა იყოს არა უმცირეს 1-1,2 მ სისქის ამ პირობების დაცვის შემთხვევაში მასის ტემპერატურა არ აღემატება $35-37^{\circ}\text{C}$ [18]. სასენაჟე ტრანშეის შევსების (3-4 დღის) შემდეგ მას გადახურავენ პოლიეთილენის ორი ფენის აბსკით, რომელსაც ზემოდან აყრიან 5-8სმ სისქით მიწას ან ტორფს და 20-25სმ სისქის ბურ-ბუშელას. იმისათვის, რომ დავიცვათ სასილოსე მასა მოყინვებისაგან ტრანშეიზე ალაგებენ 50სმ სისქით ჩალას ან ნამჯას.



სურ. 1.2. ტრანშეა მიწაში.

1 - სენაჟი მიწაში შექმნილ ტრანშეაში, 2 - ახლად მოთიბული მწვანე მასა;
3 - პოლიეთილენის აფსკი; 4 - თერმოიზოლაცია (მიწა, ტორფი, ნამჯა, ბურბულა).



სურ. 1.3. სენაჟის ჩადება მიწაში შექმნილ ტრანშეაში.

აღნიშნული კაპიტალური სათავსოების აგება მიმდინარეობს სხვადასხვა საშენი მასალებით, როგორიცაა:

1. რკინაბეტონის: ფილები, რგოლები დაბეტონის კედლები;

2. უქანგავი მასალით დაფარულილითონის კონსტრუქციებით,
3. სამშენებლო მასალებით (რიყის ქვით, ნამტვრევი კლდით, აგურით)
აგებული, შიგნიდან ცემენტის ხსნარით, გალესილი სასენაჟე ორმო ან
ტრანზე.



[ა]



[ბ]



[გ]



[ღ]

სურ. 1.4. სენაჟის ჩადება მიწისზედა სხვადასხვა ფორმის სასენაჟეებში:
ა - სასენაჟე მასის მოზიდვა; ბ - გვერდითი კედლების გარეშე სასენაჟე
ფართობზე, სასენაჟე მასის ფენობრივი გამკვრივება; გ - სასენაჟე მიწისზედა
საცავში სასენაჟე მასის ფენობრივი გამკვრივება; დ - მიწისზედა სასილოსე
გადახდილ მდგომარეობაში (როცა ხდება სენაჟის აღება).

1.6. შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების მოკლე მიმოხილვა

ტექნიკურმა პროგრესმა, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა
პოლიეთილენის აფსკის წარმოებაში, რომლის შედეგადაც მივიღეთ ამ
ხელოვნური მასალის წარმოების ძალზე დიდი მრავალფეროვნება, როგორც
ფერით ისე მისი თვისებებით, რამაც ახალი ტექნოლოგიური მიმართულე-
ბები წარმოშვა სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, როგორიცაა სხვადა-
სხვა სახის მინერალური წყლები, ლიმონათო და სხვა გამაგრილებელი
სასმელები და ა. შ; სასმელების ჩამოსხმა და შეფუთვა – საკვები პროდუქ-
ტების დაფასოებასა და შენახვაში – ხორცი, მწვანილი და ა. შ. ანალოგიუ-
რი მასალები გამოიყენება ზამთრის სეზონისათვის ცხოველთა საკვების
დაკონსერვებული სახით შენახვისას. დაკონსერვებული საკვები მზადდება
მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნარევისაგან, რომელშიც შედის
პარკოსანი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნათესი და ბუნებრივი საძოვრე-
ბის ბალახები, პარკოსანი კულტურები: იონჯა, სამყურა, ცერცველა და
სხვა; მარცვლოვანი კულტურები: შვრია, ქერი, ხორბალი და სხვა. ასევე
მწვანე მასის დაკონსერვებისათვის გამოიყენება სიმინდი ტაროს გარეშე და
ტაროდ; კომბინირებული სილოსის დაკონსერვებისათვის აგრეთვე გამოიყე-
ნება ბალჩეული კულტურები: დაუმწიფებელი საზამთრო, ნესვი, გოგრა და
ა.შ.

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინახავენ პოლიეთილენის
აფსკში ცხოველთათვის დაკონსერვებულ საკვებს, რომელთა ფორმები და
დამზადების ტექნოლოგიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ ამავე
დროს მათ ახასიათებთ მეტნაკლებად დასაკონსერვებელი მასის ერთნაირი

საწყისი ტენიანობა, რომელიც იცვლება 45-55%-მდე, დასაკონსერვებლად ჩადებული მასის სიმკვრივე 360-400კგ/მ², პოლიეთილენის აფსკში მასის ჩადების ხანგრძლივობა და ა.შ. მწვანე მასის დაკონსერვების სხვადასხვა ხერხია ცნობილი:

პოლიეთილენის აფსკის მქონე რამოდენიმე ათეული მეტრის სიგ-რძის ტომრებში, მიმდინარეობს დასაკონსერვებელი მასის ჩადება (სურ. 1.5, 1.6.) [16; 25; 28]. ამისათვის გამოიყენება სპეციალური მანქანები;

შეფუთული სახით სენაჟის შენახვა, ტრადიციულ შენახვის პროცესთან შედარებით ხასიათდება რიგი უპირატესობებით:

1. ამინდის ცუდი პირობების შემთხვევაშიც კი, საკვების გარანტი-რებული დამზადება;
2. დამზადებული საკვების მაღალი ხარისხი, რომლის დროსაც კარგად ინახება ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა: შაქარი და პროტეინი. ამასთან სენაჟის ხანგრძლივი შენახვისას მაღალია მისი კვებითი დირებულება;
3. იზრდება მსხვილფეხა – რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობა (მათ შორის წონამატი, მოწველილი რძის რაოდენობა და მასში შემავალი ცილების რაოდენობა) და ცხოველის ჯამრთელობის შენარჩუნების შესაძლებლობები;
4. შესაძლებელია სენაჟის დამზადების სრული მექანიზაცია, მოთიბვიდან დაწყებული საკვების დარიგებამდე;
5. 40%-ით მცირდება საწვავის დანახარჯები;
6. შემჭიდროვებულ ვადებში დავამზადოთ მაღალხარისხი პირველიკლასის საკვები;
7. შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ, სათიბ მინდორზე, დამზადებული საკვების რაოდენობა, რამოდენიმეჯერ მოთიბვით;
8. ჩადებული კაპიტალდაბანდების ამოგება ხორციელდება 1-2 წელიწადში.

პოლიეთილენის აფსკში შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგია

ცხრილი 1.9.

	ტექნოლოგიური ოპერაცია	მანქანები და აგრეგატები, სახარჯი მასალები და ხელსაწყოები	1500ტ-ის დასამზადებლად მინიმალური მანქანები
	2	3	4
	ბალახის გათიბვა	სათიბ - სატყლექელა	1
	ნათიბის გადაბრუნება აჩეჩვა	აჩეჩვა	1
	ღვარულად მოფოცხვა	თვლიან-თითებიანი ან როტორული ფოცხვა	1
	ღვარულის აკრეფა და დიდი სიმკვრივის ბარდანებად დაწნეხვა	წნეხ-ამკრეფი ტენის საზომი ხეზი	1
	ბარდანების დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებაში	დამტვირთი ΠΚΥ-0.8 დამჭერი თათებით	1
	შეფუთვის ადგილზე ბარდანების გადაზიდვა	სატრანსპორტო საშუალება	რაოდენობა დამოკიდებულია მანძილზე
	პოლიეთილენის აფსკში ბარდანის შეფუთვა	ბარდანების შემფუთო	1
	შეფუთული ბარდანების დასაწყობება	დამტვირთი ΠΚΥ-0.8 დამჭერი თათებით	1
	საკვების დაჭრა და საკვებურში დარიგება	ბარდანების დამჭრელ- დამრიგებელი ΙΡΚ-01,1 ΙΡΚ-01	1

იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღიურად ვამზადებთ 80–120ტ შეფუთულ სენაჟს, მიუთითებს ავტორი [17], საკმარისია თითო-თითო ტექნიკური საშუალება ყოველ ოპერაციაზე. სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა დამო-

კიდებულია იმ მანძილის სიდიდეზე, თუ რა მანძილზეა გადასატანი ბარდანები (მინდორზე თუ საწყობში).

სენაჟის დამზადება შეფუთვის სხვადასხვა ტექნოლოგიითა და ტექნიკური საშუალებებით მიმდინარეობს:

1. სასენაჟე მასისა დაწესებვა ცილინდრული ან მართკუთხა პარალელუპიპედის სახით მინდორზე, მისი გადაზიდვა შეფუთვის ადგილზე (მინდორში – მინდვრის პერიფერიაზე), ან ფერმის მახლობლად სასაწყობო მეურნეობაში, დაწესებილი ბარდანების პოლიეთილენის აფსკში შეფუთვა რამოდენიმე ათეული მეტრის სიგრძის სახით (სურ. 1.5), რომელთაგანაც საკვები აიღება კვების წინ და დაურიგდება ცხოველს საკვებულებში დაქუცმაცებული სახით [95].




სურ. 1.5. მართკუთხა პარალელუპიპედის ფორმის მქონე სასენაჟე მასის შეფუთვა პოლიეთილენის აფსკში.

1 - პოლიეთილენის აფსკი, 2 - მობილური შემფუთავი მანქანა,

3 - ბარდანები.

2. მოთიბული და სენაჟისათვის მზა შემჭკნარი ბალახი იკრიფება ამკრეფ დამჭუცმაცებლით, დაქუცმაცებული საკვები მიეწოდება სპეციალურ შემფუთ მანქანას, რომლის საწნეო კამერაზე, წამოცმულია რამოდენიმე ათეული მეტრის სიგრძის ტომარა. ტომარაში განთავსებულია პოლიეთილენის აფსკის ასეთივე ტომარა. შემფუთავი მანქანა მის მიმდებ კამერაზე, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სიგრძის ძარას, რომლის ფსკერზე განთავსებულია ლენტური ტრანსპორტიორი.



სურ. 1.6. ა) სილოსისა და სენაჟის ჩადება პოლიეთილენიანი აფსკის
ათეული მეტრის სიგრძის ტომარაში, ბ) ტომარა სავსე სასენაჟე მასით.
1-ტრაქტორი, 2 - სენაჟის ჩამდები მანქანა; 3 - სასენაჟე მასის ჩასადები
პოლიეთილენის აფსკიანი ტომარა; 4 - სასენაჟე და სასილოსე კოშკი.

ამ უკანასკნელით დაქუცმაცებული სასენაჟე მასა მიეწოდება დამწეხე
მოწყობილობას (გარკვეული კუთხეური სიხშირით მბრუნავ სპეციალურ
დანებიან დამწეხე მოწყობილობას), რომელიც დაქუცმაცებულ მასას ტენის
ჰერმეტულ ტომარაში (სურ. 1.6. ა, ბ) [13.14,24].


3. მოთიბული და შემჭვნარი სასილოსე მასა რომლისგანაც შექმნილია
ღვარეული, იკრიფება სხვადასხვა სახის წნებ ამკრეფით, რომლისგანაც
მიიღება მართკუთხა პარალელოპიპედის ან ცილინდრული ფორმის,
სხვადასხვა ზომებისა და წონის ბარდანები, რომლებიც წნებ - ამკრეფიდან
გამოსვლის შემდეგ იყრება მინდორზე (სურ. 1.7) [16].



სურ. 1.7. წნებ – ამკრეფიდან ბარდანის გამოსვლის პროცესი.

1 - ტრაქტორი; 2 - მისაბმელი წნევა - ამკრეფი; 3 - ცილინდრული ბარდანა.

მინდორში მოდის სპეციალური ბარდანების პოლიეთილენის აფსკში შემფუთავი მისაბმელი მანქანა, იღებს ბარდანას მინდვრიდან (სურ. 1.8 ა), ფუთავს მას პოლიეთილენის აფსკში (სურ. 1.8. ბ) და შეფუთული სახით ტოვებს მინდორში (სურ. 1.9.) [16; 25].



სურ. 18. ა) ბარდანის აღება შემფუთავი მანქანით; ბ) პოლიეთილენის აფსკში ცილინდრული ბარდანების შეფუთვის პროცესი


1 - ცილინდრული ბარდანა, 2 - შემფუთავი მანქანა; 3 - პოლიეთილენის აფსკი; 4 - მისაბმელი მექანიზმი; 5 - ტრაქტორი.



სურ. 19. შეფუთული ბარდანა მინდორში

1 - პოლიეთილენის აფსკის რულონი; 2 - მაღალი და დაბალი წნევის წელამილები; 3 - პოლიეთილენის აფსკი; 5 - შეფუთული ბარდანა; 6 - შემფუთავი მანქანა.

ცნობილია ისეთი მანქანებიც, რომლებიც ასრულებენ, დვარეულის აკრეფას, ბარდანებად დაწნეხვას და შეფუთვას. ასეთი მანქანის პრინციპული მუშაობის სქემა წარმოდგენილია ქვემოთ (ნახ.1.10) და (სურ.1.11), რომელზეც ნაჩვენებია მანქანა R500 COMBI-ის მუშაობა, ხოლო ცხრილში 1.10 მოცემულია მსგავსი მანქანების ტექნიკური მახასიათებლები [58].



ნახ. 1.10. შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიური სქემა.

1. მისაბმელი, 2. ამკრეფი მოწყობილობა, 3. ტრანსპორტიორი, 4. დამწოლი ტრანსპორტიორი, 5. ბარდანის წარმოქმნელი - მიმმართველი ტრანსპორტიორი, 6-8. ცილინდრული ბარდანა, 7. პოლიეთოლენის აფსკის ხვია, 9. პოლიეთოლენის აფსკი, 10. უძრავი ჩარჩო, 11. თარაზულად მბრუნავი ჩარჩო, 12. გარეფ-დამწნების ჩარჩო.



სურ. 1.11. წნებ - ამკრეფ - შემფუთი სამუშაო პროცესში.

1. შემფუთი მექანიზმის მბრუნავი ჩარჩო; 2. ბარდანა; 3. პოლიეთილენის აფსკის რულონი; 4. პოლიეთილენის აფსკი, 5. შემფუთი მექანიზმის მზიდი კვანძი; 6. სავალი თვალი, 7. ღვარეული, 8. ღვარეულის ამკრეფი, 9. საწნეხი კამერა.

ამკრეფ – დამწერება – შემფუთავების ტექნიკური მახასიათებლები

ცხრილი 1.10.

მოდელი მაჩვენებლები	Reliant 255 RC LINJWRAP	Kombi Presse 678	MP 135 Bale Pack	548 Combi	Combi Pack 1250
დამამზადებელი ფორმა	Claas	John Deere	Deutz Fahr	New Holland	Krone
ამკრეფის მოდების განი, მ.	2,1	2,0	2,1	2,0	1,95
რულონის დიამეტრი, მ.	1,25	1,25	1,25	1,25	1,25
რულონის სიგანე, მ.	1,20	1,17	1,22	1,20	1,20
დამჭუცმაცებლის დანების რაოდენობა	14	14	14	15	17

ბარდანები, რომლებიც შეფუთული სახით განთავსებულია მინდორში, აიღება სპეციალური დამტვირთი მანქანით (სურ. 1.8), ბარდანები იტვირთება სატრანსპორტო საშუალებაზე (სურ. 1.12) [29,42].




სურ. 1.12. შეფუთული ბარდანების გაზიდვა მინდვრიდან.

მანქანას გააქვს მინდვრიდან, მინდვრის პერიფერიაზე ან სასაწყობო მეურნეობაში და იქ კვლავ იმავე დამტვირთით ეწყობა იგი (სურ. 1.13. ა, ბ და გ) ზეინებად [47,52,56].



სურ.1.12. ა) შეფუთული ცილინდრული ბარდანა;
ბ) შეფუთული ბარდანა; გ) შეფუთული ბარდანების ზეინი.

4.სასენაჟე დამჭერარი და დაქუცმაცებული ბალახი ხელის იარაღებით ჩაიყრება და იტკეპნება პლასტმასის ან უჟანგავი მასალით დაფარულ კასრში, (ეს პროცესი მიმდინარეობს თანდათანობით, კერძოდ კასრში ჩაიყრება გარკვეული რაოდენობის დაქუცმაცებული ბალახი, იგი დაიტკეპნება სათანადო დონემდე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიტვირთება კასრში ახალი პორცია, რომელიც ასევე იტკეპნება და ა.შ. კასრის ავსებამდე); ავსების შემდეგ კასრის თავი ჰერმეტულად იფუთება პოლიეთილენის აფსკით. მის შემდეგ დაკონსერვებული საკვები ინახება ზამთრის სეზონისათვის (ნახ. 1.13).



ნახ. 1.13. სენაჟის ხელით კასრში ჩადება
 1.კასრი, 2. სენაჟის კასრში გასამკვრივებელი, 3. ადამიანი, 4. ფიჭალი, 5.
 სასენაჟე დაქუცმაცებული მასა.

1.7. „შეფუთული სენაჟის“ ბარდანების რაოდენობის, მოცულობისა და ტენიანობის განსაზღვრა

ხარისხიანი სენაჟის დამზადებისათვის აუცილებელია დავიცვათ მწვანე შემჭკნარი სასილოსე მასის ტენიანობა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ უნდა იყოს 45–55%. სასენაჟე ბალახის ტენიანობის დასადგენად იდებენ ბალახის სინჯს, მას სწრაფად აქუცმაცებენ 200–300გრ რაოდენობით და გამოაშრობენ საშრობ კარადაში 105° C-ზე; გაშრობამდე და გაშრობის შემდეგ მიღებული მასების სხვაობით განისაზღვრება ბალახის საწყისი ტენიანობა. თუ ვიცით ახლად მოთიბული ბალახის ტენიანობა, მაშინ შეგვიძლია საორიანტაციოდ განვსაზღვროთ შემჭკნარი ბალახის ტენიანობა. ამისათვის მინდორში დებენ ჩარჩოს, რომელზეც გადაჭიმულია მარლა, მასზე ყრიან 10კგ ბალახს, იმავე სისქით, რა სისქითაც არის დაყრილი მინდორზე ბალახი, ამის შემდეგ პერიოდულად წონიან მას და აკვირდებიან მასის შემცირებას. შემჭკნარი ბალახის ტენიანობას საზღვრავენ ტოლობით:

$$W\% = \frac{100(m_1 \times C \times m_2^{-1})}{L}, \quad (1.1)$$

სადაც: **m_1** – არის ბალახის მასა, კგ;

C – ბალახში მშრალი ნივთიერებები, %-ში;

m_2 – შემჭკნარი ბალახის მასა, კგ.

თუ ჩვენ ვიცით ფერმაში მრპ-ის სულადობა და პირუტყვის დღულამურ რაციონში სენაჟის რაოდენობა, შეგვიძლია გავიანგარიშოთ სენაჟის მოცულობა და მასა, რამდენიც საჭირო იქნება, პირუტყვის სენაჟით კვებისათვის ზამთრის მოცემული სეზონისათვის [50].

$$V = KANqr^3 \text{ მ}^3; \quad Q = 10^3 KANq \text{ კგ}; \quad (1.2)$$

სადაც: **V** – არის ფერმისათვის ზამთრის სეზონისათვის საჭირო სენაჟის ჯამური მოცულობა, მ³;

K – ფერმაში სენაჟის მარაგის კოეფიციენტი;

K = 1,15

A – წლის განმავლობაში მოცემულ რეგიონში ზამთრის დღეების რაოდენობა (პირუტყვის ბაგაზე სენაჟით კვების დღეების რაოდენობა), დღე;

N – ფერმაში პირუტყვის რაოდენობა;

Q – ერთი სული პირუტყვის დღე-დამის რაციონში შემაგალი სენაჟის რაოდენობა, კგ;

V – სენაჟის სიმკვრივე, კგ/მ³;

Q – ზამთრის სეზონისათვის ფერმისათვის საჭირო საკვების რაოდენობა, ტ/სეზონზე.

თუ სენაჟს ვინახავთ, მეტნაკლებად თანაბარი ზომის მქონე, ცილინდრული ფორმის შეფუთული მასის სახით, მაშინ შეგვიძლია დაგადგინოთ ასეთი შეფუთული ცილინდრების რაოდენობა ტოლობით [52]

$$\mathbf{n} = 4V(\pi D^2 l)^{-1}, \text{ ან } \mathbf{n} = 4Q(\pi D^2 l \gamma)^{-1}, \quad (1.3)$$

სადაც: **D** – არის შეფუთული სენაჟის ბარდანის საშუალო დიამეტრი, მ;

l – შეფუთული ბარდანის სიგრძე, მ.

1.8. კვლევის მიზნები და ამოცანები.

კვლევის მიზანია სატრანსპორტო საშუალებაზე (ტრაქტორზე) მისაბმელი გადასატანი სენაჟის წნევ-შემფუთავი მანქანის დამუშავება და შექმნა, რომელიც ერთდრულად განახორციელებს სასენაჟე მასის დაწნებას, მწვანე შემჭერი მასალის სასენაჟედ დაკოსერვებისათვის საჭირო სიმკვრივემდე და შესაძლებელს გახდის დაწნებილი მასის პოლიეთოლენის აფსკით ჰერმეტულად შეფუთვა მინიმალური დანახარჯით. ამისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1) შეიქმნას სამუშაო ორგანო, რომელიც სასენაჟე მწვანე შემჭერი მასას მოთხოვნილ სიმკვრივემდე გაამკვრივებს;

2) დამუშავდეს საწნები კამერის კონსტრუქცია, რომელიც შესაძლებელს გახდის მინიმალური დანახარჯებით პოლიეთილენის აფსკში იზოლირებულად შეფუთოს დაწნებილი სასენაჟე მასა;

როგორც სამეცნიერო, საგამომგონებლო და სხვა სახის ლიტერატურულ წყაროებში მოძიებული მასალების ანალიზით ირკვევა, აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს დამუშავდეს შემჭკნარი მასის წნების ახალი პრინციპული სქემა, კონსტრუქცია და დაწნებილი მასის შემფუთავი მანქანა. ამისათვის საჭიროა შესწავლილი და გამოკვლეული იყოს შემდეგი საკითხები:

1. დამუშავდეს და დამზადდეს ახალი პრინციპული სქემის გადასატანი ტიპის დამწნებ-შემფუთავი, რომელიც მწვანე შემჭკნარ მასას გაამკვრივებს საწნეო კამერაში, სასენაჟე მასის დაკონსერვების მოთხოვნებიდან გამომდინარე სიმკვრივემდე;

2. დამუშავდეს და შეიქმნას ახალი პრინციპული სქემის საწნები კამერა, რომელიც შესაძლებელს გახდის, ერთის მხრივ კამერაში განხორციელდეს მწვანე შემჭკნარი მასის გამკვრივება, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელი იყოს დაწნებილი მასის პოლიეთილენის აფსკში შეფუთვა და შეფუთული ბარდანის ამოდება საწნეო კამერიდან;

3. ჩატარდეს ახალი პრინციპული სქემის დამწნები სამუშაო ორგანოს მუშაობის თეორიული გამოკვლევა სტატიკაში და დინამიკაში;

4. განისაზღვროს მანქანის სამუშაო ორგანოზე მოქმედი ფაქტორები და მათ შორის დამოკიდებულება;

5. დადგინდეს დამწნები სამუშაო ორგანოს კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ პარამეტრებს შორის კავშირი;

6. თეორიულად განისაზღვროს საწნები კამერაში სასენაჟე მასის გამკვრივებასა და მისი დარეგულირების ფაქტორებს შორის კავშირი;

ზემოთ მითითებული მიზნის სრულფასოვნად განხორციელებისა და შედეგების დაზუსტებისათვის საჭიროა ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება, კერძოდ:

1. ლაბორატორიულ პირობებში უნდა განისაზღვროს:

ა). დასაწნები მწვანე შემჭკნარ მასასა და ფოლადის ზედაპირს შორის ხახუნის კოეფიციენტი;

ბ). დასაწერებ მწვანე შემჭირარ მასასა და პოლიეთილენის აფსკს შორის ხახუნის კოეფიციენტი;

გ). შნეკური წნებ-შემფუთავ მანქანაში მოძრავი საწნეო კამერის დამუხრუჭების სიდიდე, ნ;

დ). განისაზღვროს შნეკური წნებ-შემფუთავ მანქანის მოძრავ საწნეო კამერაში სასენაჟე მწვანე შემჭირარი დაქუცმაცებული ბალახის დაწესების (გამკვრივების) სიდიდე (წნევები), ნ/მ²;

ხოლო საველე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდეს:

ა). შნეკური წნებ-შემფუთავი მანქანის მწარმოებლურობა, ტ/სთ;

ბ). მანქანის ენერგეტიკული და ეკონომიკური მაჩვენებლები.


თავი II. „შეცუთული“ სენატის დამამზადებელი მანქანის კონსტრუქციის დამუშავება

2.1. სხვადასხვა სახის მწვანე მასებიდან სენაჟის დამზადების და დარიგების ნაკადური ხაზების შესაძლო გარიანტები

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის შედეგად მოძიებული მასა-
ლების ანალიზით ირკვევა, რომ შეფუთული სენაჟის დამზადებისთვის საჭი-
რო სამუშაოების ჩატარება გარკვეული თანამიმდევრობით მიმდინარეობს,
რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი შესასრულებელი ოპერაციების თანა-
მიმდევრობიდან (სურ. 2.1).

სურ. 2.1-ის სქემიდან ნათლად ჩანს, რომ შეფუთული სახით საკვების
დამზადების, კვებისათვის შემზადების და დარიგების სამუშაოები შესაძლე-
ბელია განხორციელდეს მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების 100%-იანი
გამოყენებით. მაგრამ ასეთი ტექნოლოგიების და მისი შესაბამისი მანქანათა
სისტემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დიდი და მეტნაკლებად
სწორი ფართობების მქონე სათიბების შემთხვევაში, ხოლო მცირეპონტურიან
სათიბებზე ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება არარენტაბელური და მოუხერ-
ხებელია, ამასთან ამ მანქანების გამოყენებისას მობრუნების ზოლებში დიდი
რაოდენობით დარჩება გაუთიბავი მიწის ნაკვეთი, რაც თავისთავად შეამ-
ცირებს მის მოსავლიანობას და შეამცირებს არსებული მანქანების რენ-
ტაბელობას.

ამისათვის მცირეპონტურიან და რთული კონტურის მქონე სათიბებზე
საკვების დამზადება, მითუმეტეს შეფუთული სენაჟის დამზადება, მოითხოვს
ახალ მიდგომას. კერძოდ საჭიროა შეიქმნას მცირე ზომის შეფუთული სენა-
ჟის დამამზადებელი სტაციონალური მანქანა, რომელიც განახორციელებს
მწვანე გათიბული და შემჭკნარი ნათესი ან ბუნებრივი ბალახების დაწნებას
და შეფუთვას.



სურ. 2.1. შეფუთული სენაჟის დამზადების და დარიგებისათვის საჭირო ოპერაციების თანამიმდევრობა.

როგორც სქემიდან (სურ. 2.1) ჩანს, მაღალხარისხიანი სილოსის ან სენაჟის მიღება, ე.ო. სასენაჟე მასის ოპტიმალურ პირობებში დუღილი, ენერგოშემცველობის მაღალი დონით და სრულფასოვანი პროტეინის შემცველობით, მაღალი ხარისხით, პიგიენურად, გარკვეული სტრუქტურით, მაღალი ხარისხის შეჭმადობით და პროდუქტიულობით – ეს არის ღონისძიებათა მთელი სისტემა, სადაც ყოველი რგოლი თამაშოსს გადამწყვეტ როლს.

2.2. სასენაჟე მასის ტომრებში შემფუთავი მანქანის კონსტრუქციის აღწერა

სენაჟის დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიაში, როგორც I თავი-დან ჩანს, მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კონსტრუქციის და პრინციპული სქემის სენაჟის შესაფუთი მანქანები, რომლებიც ძირითადად სატრაქტორო მისაბმელებს წარმოადგენენ და საკმაოდ დიდი მწარმოებლურობის არიან, ამიტომ მათი გამოყენება მცირებონტურიან სათიბებში არა რენტაბელურია.

ასევე ცნობილია პნევმოსატრანსპორტო დანადგარის შნეკური მკვებავი, რომელიც ასევე რთული რელიეფის სათიბებიდან თივის მილით ტრანსპორტირებისთვისაა განკუთვნილი. პნევმოტრანსპორტიორი შეიცავს მკვებავ ბუნკერს, ცილინდრულ გარსაცმს, მასში მოთავსებულ ამძრავთან დაკავშირებულ შენებს. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა თივისაგან სპეციალურ კამერაში ჩამოაყალიბოს გარკვეული სიმკვრივისა და ზომის თივის საცობი, რომელიც შეკუმშული პაერით ტრანსპორტირდება ელასტიურ (ტილოს) წელამილში.

ცნობილი სენაჟის შესაფუთი მოწყობილობების ნაკლია:


1. რთული კონსტრუქციული და პრინციპული შესრულება;
2. დიდი ლითონტევადობა;
3. შესაფუთი მასალის დიდი ხარჯი;
4. შეფუთვის პროცესზესაჭირო დიდი კუთრი ენერგიის ხარჯი;
5. უმეტესი შეფუთული ბარდანების ტრანსპორტირება მოითხოვს სპეციალურ დამტვირთ და სატრანსპორტო მანქანებს.

ხოლო პნევმოტრანსპორტიორის ნაკლია ტექნოლოგიური შესაძლებლობების შეზღუდულობა, როგორიცაა:

1. სხვადასხვა მასისაგან, მაგალითად ბალახისაგან, გარკვეული სიმკვრივის და სიდიდის სასენაჟე მასის ბარდანების ჩამოყალიბება;
2. ბარდანების შეფუთვა.


ცნობილი კონსტრუქციების ჩამოთვლილი ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ჩვენს მიერ დამუშავებულია და დაპატენტებულაა შეფუთვის სრულიად ახალი პრინციპი და მანქანის კონსტრუქცია [40].

შნეკური საფუთავი მოწყობილობა შეიცავს ჩარჩოს 1 (სურ. 2.2, 2.3, 2.4, 2.5), რომელზეც დამაგრებულია რედუქტორი 2 ელამძრავით 3, რედუქტორის 2 გამომავალ ლილვთან გადაბმულობის ქუროთი 4 დაკავშირებულია, სასენაჟე მასის გასასვლელისკენ თანდათან შემცირებადი ბიჯის მქონე, ცილინდრული შნეკის ხვიის 5 ლილვი 6. შნეკი 5-6 განთავსებულია ბუნკერის 7 ძროზე 8 (სურ. 2.2) და საწნეო მილში 9. ბუნკერის 7 ძრო 8 შესრულებულია შნეკის ხვიაზე 5 მმ მეტი რადიუსის მქონე ნახევარ წრიული ფორმით (სურ. 2.3), რომელიც დასრულებულია საწნეო მილით 9. საწნეო მილის 9 გასწვრივ განლაგებულია ორი ნახევარი წრიული ფორმის დარები 10-11, რომელთა დასასრულს მიერთებულია ზოლოვანი ფოლადები 12. ზოლოვან ფოლადებზე დამაგრებულია ერთ მხარეს სამაგრები 12, ხოლო მეორე მხარეს საკატები 13, რის შედეგადაც, თუ დახურულია ვიღებთ შეკრულ ცილინდრულ გარსაცმს 14. ეს უკანასკნელი გორგოლაჭებით 15 განთავსებულია სარბენ ბილიკებზე 16, რომლებიც ჩარჩოზეა 1 დამაგრებული. შნეკის ლილვის 6 პარალელურად ცილინდრული გარსაცმის 14 მეორე ბოლოზე, თითოეულ ნახევარწრიულ დარზე 10-11 მიღებულია ნახევარწრიული დისკოები 17-18 (სურ. 2.4), სამუხრუჭე მექანიზმი 20 კრონშტეინებით 21 დამაგრებულია ჩარჩოზე 1 (სურ. 2.5). კრონშტეინებზე 21 უძრავად დამაგრებულია ვერტიკალური ძელი 22, რომლის შუა ადგილას შექმნილია მიმმართველები 23, რომელთა შორის მოთავსებულია გრძივი სამუხრუჭე ძელი 19, რომელიც განლაგებულია შნეკის ლილვის პარალელურად. ვერტიკალურ ძელში 22 შექმნილ ხვრებში 24 გაყრილია სპეციანჭიკი 25, რომელზეც წამოცმულია მეორე ვერტიკალური ძელი 26, სახსარით 27 დამაგრებულია კრონშტეინზე 21. სპეციალურ სპეც-ჭანჭიკზე 25 წამოცმულია ცილინდრული ზამბარა 28, რომელიც სპეციანჩით 29 იკუმშება.




სენაჟის შესაფუთი მანქანის კონსტრუქციული სქემა.

1. ჩარჩო, 2. ელამძრავი, 3. რედუქტორი, 4. გადაბმულობის ქურო, 5. შნეკის ხვია (ლენტა) 6. შნეკის ლილვი, 7. მკვებავი ბუნკერი, 8. ბუნკერის ძრო, 9. საწნეო (მიმმართველი) კამერა, 11. თვითმიმმართველი თვალი, 12. საყრდენი თვალი, 14. ბარდანისათვის ლითონის გარსაცმი, 15. გორგოლაჭები, 16. შარბენი ბილიკი, 19. სამუხრუჭე ბერკეტი, 20. სამუხრუჭე მექანიზმი, 21. ავტომატური ამომრთველი.



სურ. 2.3. მკვებავი ბუნკერი შნეკით, (სქემის კვეთა ა-ა და ბ-ბ)

5. შნეკის ხვია (ლენტა), 6. შნეკის ლილვი, 7. კვებავი ბუნკერი,
8. კვებავი ბუნკერის ძრო-შნეკის გარსაცმი, 9. მიმმართველები.




სურ. 2.4. გარსაცმი კვეთა ბ-ბ

- 10-11. ნახევარწრიული ფორმის ღარები, 12. ანჯამი, 13. ზოლოვანი ფოლადები, 14. საკეტი, 17-18. ნახევარწრიული დისკო, 19 სამუხრუჭე ძელი,

ამასთან ქვედა „უძრავ“ ნახევარ დისკოზე 17 მიმაგრებულია გრძივი ძელი 19, რომელიც მოთავსებულია სამუხრუჭე მექანიზმში 20.ვერტიკალურ ძელზე 22

დამაგრებულია გორგოლაჭი 30 და სპეციალური ფორმის ზამბარა 31, რომლის ბოლო მიღებულია ვერტიკალურ ბერკეტზე 26.




ნახ. 2.5. სამუხრუჭე მექანიზმი (კვეთა გ-გ)

1. ჩარჩო, 19. სამუხრუჭე ძელი, 21. კრონშტეინი, 22. ვერტიკალური ძელი, 23. მიმართველები, 24. ხვრეტი. 25. სპეციანჭიკი, 26. ვერტიკალური ძელი, 27. სახსარი, 28. ცილინდრული ზამბარა, 29. სპეციანჩი, 30. გორგოლაჭი, 31. სპეციალური ზამბარა.

2.3. სასენაჟე მასის ტომრებში შემფუთავი მანქანის სამუშაო პროცესის აღწერა

სასენაჟე მასის წინებ-შესაფუთი მანქანის ძრავას გაშვებამდე, საწნეო კამერას წინასწარ წამოაცვამენ გარკვეული სისქის და სიგრძის პოლიეთოლენის აფსკის ტომარას (სურ. 2.6). შემდეგ ლითონის გარსაცმს 3 მომსახურე პერსონალი სახელურით 4 გააგორებს საგორავების 8 სარბენ ბილიკზე



სურ. 2.6. შესაფუთი მანქანის მომზადება სამუშაოდ

1. საწნეო კამერა, 2. პოლიეთილენის ტომარა, 3. ლითონის გარსაცმი, 4. სახელური, 5. საკეტები, 6. სამუხრუჭებელი, 7. სამუხრუჭებელისტემა, 8. გორგოლაჭები, 9. სარბენი ბილიკი.

9 ისე, რომ ლითონის გარსაცმი 3 წამოეცვას პოლიეთილენის აფსკიან 2 საწნეო კამერას 1. ამის შემდეგ გარკვეული ძალით სამუხრუჭებელი მექანიზმის (სპეციალური 29 სურ. 2.5) საშუალებით (ჩახრახვით) ვერტიკალური ძელებით 22-26 დაამუხრუჭებენ ლითონის გარსაცმის 3, ე. ი. შეზღუდავენ ლითონის გარსაცმის 3 თავისუფალ მოძრაობუალებას, რაც საშუალებას იძლევა პოლიეთილენის ტომარაში და ლითონის გარსაცმში შეიქმნას მწვანე სასილოსე მასის სასურველი სიმკვრივე $\gamma = 360 - 400 \text{ კგ/მ}^3$ პოლიეთილენის ტომარაში მწვანე დაქუცმაცებული მასა განვათავსოთ ისე, რომ მასში ჰაერის რაოდენობა იყოს მინიმალური. ამის შემდეგ ჩართავენ ამძრავს 2 (სურ. 2.2) და შენები 5-6 მოვა ბრუნვით მოძრაობაში, რის შემდეგ მკვებავი ბუნებრიდან 7 (სურ. 2.2) მიაწვდიან 30-40მმ-ზე დაქუცმაცებულ მწვანე სასენაჟე მასას, რომელიც შენების 5 საშუალებით თანდათან მიეწოდება საწნეო კამერის 1 (სურ. 2.6) გავლით პოლიეთილენის აფსკის ტომარას 2, განვათავსებულს ლითონის გარსაცმში. ეს უკანასკნელი თანდათან შევსებასთან ერთად, როცა მასში შეიქმნება ისეთი დაწოლის P ძალა, რომელიც აღემატება სამუხრუჭებელის სისტემის 20 (ნახ. 2.2) მიერ შექმნილ R ძალას, მაშინ იგი აიძულებს ლითონის გარსაცმს 3, მასში მოთავსებული პოლიეთილენის ტომარასთან 2 ერთად, თანდათან გადაადგილდეს მანქანის გრძივი დერძის გასწვრივ.

როდესაც ლითონის გარსაცმი 3 მიაღწევს კიდურა მდგომარეობას, ავტომატურად ამომრთველით 21 (სურ. 2.2) ამოირთვება ელამძრავი 2. ამის შემდეგ მომსახურე პერსონალი ხელით მოუშვებს სპეცქანჩს 29 (ნახ. 2.6) (გაათავისუფლებს სამუხრავჭე სისტემას 20) (სურ.2.2) და ხელით გააგორებს ლითონის გარსაცმს 3. საკეტების 5 (სურ. 2.6) საშუალებით გაანთავისუფლებენ ლითონის გარსაცმის სახურავს 3 ზედა ნახევარს სახელურით 4 გახსნიან ლითონის გარსაცმს, ამოიღებენ პოლიეთილენის აფსკის ტომარას, რომელშიც საკმაოდ მკვრივადაა გატენილი მწვანე დაქუცმაცებული სასილოსე მასით, პერმეტულად მოპკრავენ პირს ისე, რომ მასში რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობით დარჩეს ჰაერი. ამის შემდეგ საკვები მზად არის პერმეტულად შევინახოთ ფარდულში ჩვენთვის სასურველი ვადით.


ამის შემდეგ იგივე პროცესი ავტომატურად მეორდება.

2.4 სენაჟის ტომრებში შესაფუთი მანქანის შეგური სამუშაო ორგანო და მისი სრულყოფის შესაძლო გარიანტები

წინა პარაგრაფებში აღწერილია შეგური წენებ-საფუთავი მანქანის მუშაობის პროცესი, რომლის წინასწარი გამოცდის ჩატარებისას გამოვლინდა რომ, საწესებ კამერაში და პოლიეთილენის ტომარაში შეფუთული მასა არათანაბარი სიმკვრივის მიიღება, ბარდანის რადიალური მიმართულებით. ეს ნაკლი გამოწვეულია იმით, რომ ძირითადი სამუშაო ორგანოს (ლენტური ხვის) სამუშაო ზედაპირი, ერთდროულად დახრილია, როგორც გრძივ ვერტიკალურ სიბრტყის მიმართ, ისე განივი კვეთის მართობი სიბრტყის მიმართ. შეგის ასეთი კონსტრუქციული შესრულება, იწვევს სასენაჟე მასის გადაადგილებას შეგის რადიალური მიმართულებით და ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს შეგის გრძივი ლერძის მახლობლად, რაც გამოწვეულია შეგის ხვის აწევის დიდი კუთხით, ამიტომ რაც მცირეა შეგის ხვის რადიუსი, მით უფრო მეტად უბიძგებს შეგის ხვია დასაწეს მასას შეგის რადიალური მიმართულებით და დასაწესი მასა, მანქანის გრძივ მიმართულებასთან ერთად, გადაადგილდება განივად – რადიალურად.


გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების მიზნით ჩვენს მიერ დამუშავებულია შნეკური წნებ-საფუთავი მანქანის ახალი სამუშაო ორგანოების სხვადასხვა ვარიანტები.

I – შნეკური წნებ-საფუთავი მანქანის შნეკი შესრულებულია ისე, რომ, მის ლენტურ ხვიაზე (ნახ. 2.7), სამუშაო ზედაპირის მხარეს, და ამ ზედაპირის მართობად და შნეკის ლილვის კონცენტრიულად მიმაგრებულია (მიღულებულია) წრიული ფორმის ზოლოვანი მასალა, რომელთა რაოდენობა, მასის გასასვლელი ფანჯრისაკენ, იზრდება (ნახ. 2.7. 2.8).



ნახ. 2.7. შნეკური წნებ-საფუთავი მანქანა წინხედში;

1. ძრავ – რედუქტორი, 2. ლილვი, 3. ლენტური ხვია, 4. ლენტურ ხვიაზე არქიმედეს სპირალის სახით დამაგრებული შვერილები, შესრულებული გარკვეული სისქის და სიგანის ზოლოვანი მასალისაგან, 5. შნეკის გარსაცმი, 6. მკლბავი ბუნკერი, 7. საწნები კამერა.




ნახ. 2.8 შნეკური წნებ-საფუთავის კვეთა ა – ა და ბ – ბ ადგილებში.

შნეკური წევე-საფუთავი მუშაობს შემდეგნაირად: ჩართავენ ამბრავს, როცა შნეკის ბრუნთა რიცხვი მიაღწევს ნორმალურ ბრუნთა რიცხვს, ამის შემდეგ მკვებავი ბუნკერიდან მიეწოდება დასაწევები მასა – მწვანე შემჭკნარი ბალახი, რომელიც შნეკის ხვით თანდათან გადაადგილდება გარსაცმში, შნეკის გრძივი ლერძის გასწვრივ გასასვლელისაკენ. ამ უკანასკნელში დასაწევები მასა გადის თანდათან გაზრდილი წნევით, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ შნეკის ხვის ბიჯის თანდათანობითი შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ დასაწევები მასის, შნეკის გარსაცმში და საწევო კამერაში გადაადგილების წინააღმდეგობის თანდათანობითი ზრდით. შნეკის ხვის მოქმედებით (მისი კონსტრუქციიდან გამომდინარე) დასაწევები მასა შნეკის გრძივი ლერძის გასწვრივ გადაადგილებასთან ერთად, ცდილობს გადაადგილდეს შნეკის რადიალური მიმართულებით, რადგან შნეკის ერთსადაიმავე ბიჯის დროს, შნეკის აწევის კუთხე მისი ხვის დიამერტის უკუპროპირციულია, (ე. ი. შნეკის ის ხვია, რომელიც ნაკლებადად დაცილებული შნეკის ცენტრიდან მისი აწევის კუთხე დიდია). ამიტომ შნეკის ხვის ცენტრარულ ნაწილში წარმოქმნილი ძალები ცდილობენ დასაწევები მასა გადაადგილონ პერიფერიისაკენ, რასაც წინააღმდეგობას უწევენ შნეკის ხვის სამუშაო ზედაპირზე ექცენტრიულად დამაგრებული შვერილები. ამით იქმნება პირობა, რომ დასაწევები მასა დაწევების პროცესში გადაადგილდეს მხოლოდ შნეკის გრძივი ლერძის გასწვრივ. ამით მეტნაკლებად იქმნება იმის პირობა, რომ ჩამოყალიბებული ბარდანის ცენტრში შევინარჩუნოთ ბარდანის სასურველი სიმკვრივე.

II – ცნობილია [68,70], რომ შნეკის მწარმოებლურობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია შნეკის პარამეტრებზე: შნეკის ხვის გარეთა დიამეტრის კვადრატზე და შნეკის ბიჯზე, ხოლო უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია შნეკის ხვის შიგა დიამეტრზე. ამიტომ, ბარდანის ცენტრალურ ნაწილში, მისი სიმკვრივე დაბალია.

ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით ჩვენს მიერ დამუშავდა შნეკური სამუშაო ორგანოს მეორე ვარიანტი (სურ. 2.10), რომელშიც შნეკის ხვის სამუშაო ზედაპირზე და მის მართობად დამაგრებულია შვერილები, ანალოგიურად სურ 2.7-ისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შვერილები შესრულებულია არქიმედეს სპირალის სახით (სურ. 2.10).




სურ. 2.10. შნეკური წნებ-საფუთავის შნეკის პერიოს სქემა.

შნეკური წნებ-საფუთავი მანქანის (სურ.2.7) შნეკი შესრულებულია ისე, რომ მის ლენტურ ხვიაზე (ნახ. 2.10), სამუშაო ზედაპირის მხარეს, და ამ ზედაპირის მართობად არქიმედეს სპირალის სახით შესრულებული ზოლოვანი მასალა მიმაგრებულია (მიდუღებულია) მასის გასასვლელი ფანჯრისაკენ მზარდი რაოდენობით.

შნეკური წნებ-საფუთავი მუშაობს შემდეგნაირად: გაუშვებენ ამძრავ სადგურს; როცა შნეკის ბრუნთა რიცხვი მიაღწევს ნორმალურ ბრუნთა რიცხვს, ამის შემდეგ მკვებავი ბუნკერიდან მიეწოდება დასაწნეხი მასა – მწვანე შემჭკნარი ბალახი, რომელიც შნეკის ხვიით თანდათან გადაადგილდება გარსაცმში შნეკის გრძივი ღერძის გასწვრივ გასასვლელისაკენ. ამ უკანასკნელში დასაწნეხი მასა გადის გაზრდილი წნევით, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ, შნეკის ხვიის ბიჯის თანდათანობითი შემცირებით, ხოლო, მეორეს მხრივ, დასაწნეხი მასის, შნეკის გარსაცმში და საწნეო კამერაში გადაადგილების წინააღმდეგობის თანდათანობითი ზრდით. შნეკის ხვიის მოქმედებით (მისი კონსტრუქციიდან გამომდინარე) დასაწნეხი მასა შნეკის გრძივი ღერძის გასწვრივ გადაადგილებასთან ერთად, ცდილობს გადაადგილდეს შნეკის რადიალური მიმართულებით, ხოლო შნეკის ხვიაზე დამაგრებული არქიმედეს სპირალის სახით შესრულებული შვერილები დასაწნეხ მასას გადაადგილებს შნეკის ცენტრისაკენ, რითაც საწნეო

კამერაში მიიღება მეტნაკლებად ერთგვაროვნად დაწესებილი მასა, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ ტომრებში დამზადებული სენაჟის რაოდენობა და ხარისხი.

III შეკური სამუშაო ორგანოს ლენტური ხვია შეიძლება ლილვზე დავამაგროთ ისე, რომ მისი სამუშაო ზედაპირი დახრილი იყოს დერძის მიმართ, დასაწესები მასის მოძრაობის მიმართულებით გარკვეული β კუთხით (ნახ. 2.11), რომლის დროსაც დაკმაყოფილებულია პირობა $\beta < 90^0$, ამ კუთხის მნიშვნელობა უნდა დადგინდეს ექსპერიმენტულად სხვადასხვა ტენიანობისა და დასაწესები მასის მიხედვით.



ნახ. 2.11. შეკური სამუშაო ორგანო.


1. შეკის დერძი, 2. შეკის ლენტური ხვია.

ასეთი სახით შესრულებული სამუშაო ორგანოში იმის გამო, რომ $\beta < 90^0$ -ზე, დასაწესები მასა, შეკის ხვიის სამუშაო ზედაპირის ზემოქმედებით, ერთდროულად ცდილობს გადაადგილდეს, შეკური სამუშაო ორგანოს, როგორც გრძივი მიმართულებით, დაწესებილი მასის გასასვლელისაკენ, ისე შეკის ცენტრისაკენ, რის შედეგადაც ჩამოყალიბებული ბარდანას სიმკვრივე იქნება თანაბარი და მოგვცემს საშუალებას ერთიდაიგივე ზომის პოლიეთოლენის აფსკის ტომარაში დავამზადოთ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი საკვები (სენაჟი).

შეკური სამუშაო ორგანოს შესრულების წარმოდგენილი სახესხვაობებზე, როგორც სავარაუდო გამოგონებაზე, გაფორმებული იქნა განაცხადი და წინადადება შეტანილი იქნა „საქართველო“ [24,40].

2.5. შნეკური წნებ-საფუთავი მანქანის სამუშაო ორგანოს მუშაობის აღწერა

შნეკური წნებ-საფუთავის ახალი კონსტრუქციის სამუშაო ორგანოთი მუშაობს შემდეგნაირად: გაუშვებენ ამძრავ სადგურს 1, როდესაც სამუშაო ორგანო – დამწნები შნეკის ბრუნთა რიცხვი მიაღწევს ოპტიმალურ მნიშვნელობას, ამის შემდეგ მკვებავი ბუნკერიდან 6 მიეწოდება დასაწნები მასა (მწვანე შემჭკნარი ბალახი), რომელიც შნეკის ხვით 4 თანდათან გადაადგილდება გარსაცმში 6, შნეკის გრძივი დერძის გასწვრივ დაწნებილი მასის გასასვლელისაკენ – საწნეო კამერისაკენ, რომელშიც განთავსებულია ბარდანის შესაფუთი პოლიეთილენის აფსკი. ამ უკანასკნელში სასენაჟე მასა შეეხება რა მოძრავ საწნეო კამერის 1 (ნახ. 2.12) ძროს 4, იგი იმოქმედებს მასზე გარკვეული ძალით, რომელიც აიძულებს მოძრავ საწნეოკამერას გადაადგილდეს მანქანის გრძივი მიმართულებით. ამავე კამერას სამუხრუჭე ძელი 5 დამუხრუჭების ძალით აკავებს, მაგრამ, როცა დაკმაყოფილდება პირობა **F & SP**, მაშინ მოძრავი საწნეო კამერა 1 გადაადგილდება მანქანის გრძივი მიმართულებით და მოძრავ კამერაში ჩამოყალიბებას დაიწყებს ბარდანა.



ნახ. 2.12. მოძრავი საწნეო კამერა

- 1.საწნეო ცილინდრული კამერა;
2. პოლიეთილენის აფსკის ტომარა;
3. ცილინდრული სასენაჟე ბარდანა;
- 4.საწნეო ცილინდრული კამერის ძრო;
5. სამუხრუჭე ბერკეტი;
6. საწნეო ცილინდრული კამერის საგორავები;
7. ახჯამი.

ომის გამო, რომ სამუშაო ორგანო – შნეკის ხვიის აწევის პუთხე თანდათან იზრდება შნეკის რადიუსის შემცირებასთან ერთად, ამიტომ სასენაჟე მასაზე მოქმედი ჯამური ძალის რადიალური მდგენელი ცდილობს სასენაჟე მასა გადაადგილოს შნეკის ხვიაზე რადიალურად, მაგრამ მასზე რადიალურად დამაგრებული ზოლოვანი ფოლადი აკავებს მას და არ აძლევა საშუალებას გადაადგილდეს რადიალური მიმართულებით, ამის გამო სასენაჟე მასა შნეკის ზემოქმედებით გადაადგილდება მხოლოდ მანქანის გრძივი დერძის მიმართულებით, რაც თავისთავად ჩამოყალიბებულ ბარდანაში იწვევს სასენაჟე მასის თანაბარ სიმკვრივესაც, რაც მოცემულ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოადგენდა.

თავი III. შემცირებული ფინანსურის სამუშაო პროცესის თეორიული ანალიზი

3.1. სასენაჟე მასის დაწესებულების პროცესზე მოქმედი ფაქტორები და მათი მოკლე ანალიზი

ჩვენს მიერ დამუშავებულ შემცირი ტიპის წესების შემცირი ბალანსის მასის ნორმალურად სენაჟე დაკონსერვებისათვის აუცილებელია ბალანსის მასა დაიწესოს ისე, რომ მისმა სიმკვრივემ მიაღწიოს $360-450 \text{ კგ}/\text{მ}^2$ -დე.

სასენაჟე მასის გამკვრივების სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა: დასაწეხი მცენარეული მასალის ბოტანიკური სახე (მცენარის დეროს სიმსხო და მის ფოთლიანობა), მის ტენიანობა (მწვანე დამჭვარ მასაში წყლის რაოდენობა, რომელიც სენაჟის რულონებად დამზადების ტექნოლოგიიდან [26,29 30] გამომდინარე უნდა ცვალებადობდეს 45–55%-მდე. ცნობილია, რომ ახლად მოთიბული მწვანე მასის ტენიანობა ცვალებადობს 75–85%-მდე. იმის მიხედვით, თუ როგორია იმ ნიადაგის ტენიანობა რომელზეც ხდება მწვანე მასის გათიბვა და რომელია ის გასათიბი ბალანსული კულტურის უმრავლესობა, რომელიც გავრცელებულია (დომინორებს) მოცემულ ნაკვეთზე; მცენარის დაქუცმაცების შემდეგ მიღებული დეროს და ფოთლის ნაწილაკის ზომებზე, მისიფიზიკო-მექანიკურ თვისებები (დეროს და ფოთლის დრეკადობის მოდულზე, სიხისტეზე, სიმკვრივეზე და ა.შ., დანადგარის კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ პარამეტრებზე. ამ მსჯელობიდან გამომდინარე ცილინდრული ბარდანის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება იყოს:

1. დასაწეხი სასენაჟე მწვანე შემჭვარი მასის საწყისი სიმკვრივე **P₀**, $\text{კგ}/\text{მ}^2$;
2. დასაწეხე მასაში დაჭრილი ნაწილაკების საშუალო სიგრძე **L**, მ;
3. დაწესებილი მწვანე შემჭვარი სასენაჟე მასის ბარდანის სიგრძე **L₀**;
4. შეეკის ბრუნვის კუთხური სიჩქარე **W**, $\text{რად}/\text{წმ}$;

5. შნეკის ხვიის გარეთა დიამეტრი, D_H მ;
6. საწნეო კამერის დიამეტრი, D_k მ;
7. შნეკის ლილვის დიამეტრი, D_B მ;
8. შნეკის ხვიის აწევის კუთხე, α რად;
9. დასაწნებ მასასა და შნეკის გარსაცმს შორის ხახუნის კოეფიციენტი, f_1 ;
10. დასაწნებ მასასა და შნეკის ხვიის ზედაპირს შორის ხახუნის კოეფიციენტი, f_2 ;
11. დასაწნებ მასასა და პოლიეთოლენის აფსკს შორის ხახუნის კოეფიციენტი, f_3 .
12. სამუხრუჭების მექანიზმის მიერ შექმნილი საწნეო კამერის გადაგორების წინადობის ძალა P_T , ნ.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ნაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა დასაწნებ მასასა და შნეკის გარსაცმს შორის ხახუნის კოეფიციენტი f_1 , დასაწნებ მასასა და შნეკის ხვიის ზედაპირს შორის ხახუნის კოეფიციენტი f_2 , დასაწნებ მასასა და პოლიეთოლენის აფსკს შორის ხახუნის კოეფიციენტი f_3 .

ამ ფაქტორების მწვანე შემჭკნარი დაქუცმაცებული ბალანის დაწნების პროცესზე უმნიშვნელო ზეგავლენა გამოწვეულია იმით, რომ ხახუნის კოეფიციენტები: f_1 , f_2 და f_3 ძალზე უმნიშვნელო სიდიდეებია, რადგან თვით მწვანე მასის ხახუნის კუთხეები: φ_1 , φ_2 და φ_3 , რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ, მწვანე შემჭკნარი მასის ლითონზე დაპოლიეთოლენის აფსკზე ხახუნის კუთხეებს, ძალზე მცირე სიდიდეებია და რადგან $f_1 = t g \varphi_1$, $f_2 = t g \varphi_2$ და $f_3 = t g \varphi_3$. ამიტომ f_1 , f_2 და f_3 კოეფიციენტებიც უმნიშვნელო სიდიდეებია. შნეკის ბრუნვის კუთხური სიჩქარის ω ცვალებადობა – გაზრდა ან შემცირება, მოითხოვს რედუქტორის შეცვლას, ან ჯაჭვურ გადაცემას რამოდენიმე ჯაჭვით, რაც ერთის მხრივ ასევე დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორეს მხრივ მისი შეცვლა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ოპტიმიზაციის P პარამეტრზე.


ისეთი ფაქტორები, როგორიცაა D_B , D_K , D_H , და α არის შნეული წეს-საფუთავი მანქანის კონსტრუქციული პარამეტრები, რომელთა ცვალებადობა მოითხოვს, განსხვავებული გეომეტრიული პარამეტრებით, ახალი შნეული წეს-საფუთავი მანქანების დამზადებას და გამოცდას. ამიტომ აღნიშნული პარამეტრები სასურველია შეირჩეს დასამზადებელი ბარდანის ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან და სხვა თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენების აწევის კუთხე **α**, ჩვენს მიერ დამზადებულ შენეკურ სამუშაო ორგანოში მცირდება დასაწნეხი მასის მოძრაობის მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა ტექნოლოგიური პროცესის დროს გავზარდოთ შენების შევსების კოეფიციენტი და საწნეო კამერაში დაწერებილო მასის სიმკვრივე.

ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მწვანე მასის დაჭრის **delta** სიგრძე, ეს ფაქტორი ზოოტექნიკურადაა განსაზღვრული და მისი ცვალებადობა დასაშვებ ზღვრებში ზეგავლენას ვერ მოახდენს ოპტიმიზაციის პარამეტრის **P** მნიშვნელობაზე.

3.2. შენიშვნა მოქმედი სასენაჟი მასის ნაწილაკზე მოქმედი
ძალთა სისტემა.

შნეგურ წნებე-შემფუთავ მანქანაში (ნახ. 3.1) აქტიურ სამუშაო ორგანოს წარმოადგენს შნეკის ხვია 5 თავისი ლილვით 3, რომელიც ანხორციელებს სასენაჟე შემჭერარი მწვანე მასის გადაადგილებას საწნები კამერისაკენ და ამ უკანასკნელში მწვანე შემჭერარ მასას გაამკვრივებს სენაჟის დამზადების ზოოტექნიკური მოთხოვნილების შესაბამის სიმკვრივემდე $360 - 450 \text{ კგ/მ}^2$.




ნახ. 3.1. სენაჟის შესაფუთი მანქანის პრინციპული სქემა.

1. ელამძრავი, 2. რედუქტორი, 3. შნეკის ლილვი, 4. მკვებავი ბუნკერი, 5. დამწერები შნეკი, 6. პოლიეთილენის აფსკისაგან დამზადებული ტომარა,
7. საწნეხი კამერა, 8. სამუხრუჭე მექანიზმი, 9. ჩარჩო.

როგორც (2.3.) პარაგრაფიდან ჩანს შნეკური წერტილითავი მანქანის მუშაობისათვის ჩართავენ ამძრავს 1 და როდესაც ძრავას (შნეკის ლილვი 3) ბრუნთა რიცხვი მიაღწევს ნომინალურ მნიშვნელობას, შემდეგ მკვებავი ბუნკერიდან 4 შნეკს მიეწოდება სასენაჟე მწვანე შემჭკნარი და დაქუცმაცებული მწვანე მასა, რომელიც შნეკის ხვიის ზემოქმედებით გადაადგილდება დასაწნეხი კამერისაკენ 7.

შნეკის ბრუნვისას მისი ხვიის სამუშაო ზედაპირის ზემოქმედებით, მწვანე შემჭკნარი მასის M_t ნაწილოვან ნაწილაკზე, რომელიც დევს შნეკის ხვიის სამუშაო სიბრტყეზე, მოქმედებს ძალთა სისტემა, რომელიც სქემატურად (შნეკური სამუშაო ორგამოს ფრაგმენტის მოქმედებით) შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით (სურ. 3.2).



სურ. 3.2. სასენაჟე მასის დაწნეხვისას M_t ნაწილაკზე
მოქმედ ძალთა სქემა

1. mg - დასაწნეხი მწვანე შემჭკნარი ბალანსის M_t ნაწილაკის სიმძიმის ძალა, 6;
2. F_c – წნეხის ხვიაზე დასაწნეხი ნაწილაკის ხახუნის წინაღობის ძალა, 6;

3. **$R_t - M_t$** ნაწილაკზე მოქმედი რადიალური ძალა, ნ;
4. **$N_t -$** შეეკის ხვიაზე **M_t** ნაწილაკის ნორმალური რეაქციის ძალა, ნ;
5. **$P_t -$** შეეკის ხვიის ზემოქმედებით **M_t** ნაწილაკზე მოქმედი ძალა, რომელიც იწვევს **M_t** ნაწილაკის გადაადგილებას **OZ** დერძის გასწვრივ, ნ;
6. **$F_t - M_t$** ნაწილაკის ლითონზე ხახუნის კოეფიციენტია;
7. **$F_t - M_t$** ნაწილაკის ფართი, რომლითაც იგი მოცემულ მომენტი განთავსებულია შეეკის ხვიის სამუშაო ზედაპირზე, მ²;

ამ ძალთა სისტემაში ძირითად ძალას წარმოადგენს **P_t** ძალა, რომელიც განახორციელებს მწვანე შემჭკნარი მასის გადაადგილებას საწები კამერისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძალის სიდიდე, როგორც ამ პროცესის სხვა მახასიათებლები, არაერთგვაროვანია (არაა მუდმივი სიდიდეები) შეეკის ხვიის მთელ სიგრძეზე. იმის გამო, რომ ძირითადი სამუშაო ორგანოს – შეეკის ხვია, როგორც სიბრტყე, ერთდროულად დახრილია **(OXY)** სიბრტყის და **(OZ)** დერძის მიმართ, ამიტომ მისი ბრუნვისას წარმოქმნილი ძალები ერთდროულედ ცდილობენ **M_t** წერტილოვანი ნაწილაკი გადაადგილოს, როგორც **(OXY)** სიბრტყეში, ისე **(OZ)** დერძის გასწვრივ. **M_t** წერტილოვანი ნაწილაკის მიერ განვლილი მანძილი **(OXY)** სიბრტყეში და **(OZ)** დერძის გასწვრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიდიდის კუთხითაა ის ზედაპირი დახრილი **(OXY)** სიბრტყისა და **(OZ)** დერძის მიმართ, რომელზეც დევს **M_t** წერტილოვანი ნაწილაკი.

იმის გამო, რომ მკვებავ ბუნკერთან **M_t** წერტილოვანი ნაწილაკი შედარებით ნაკლებადაა კონტაქტში სხვა მწვანე სასენაჟე ნაწილაკებთან, ამიტომ იგი უფრო მეტად ექვემდებარება შეეკის სამუშაო ზედაპირის მიერ განვითარებულ ძალებს. დოცა **M_t** წერტილოვანი ნაწილაკი ახლოსაა ან განთავსებულია საწებო კამერაში, მაშინ მასზე მოქმედებს დამატებით სხვა ნაწილაკებიც, რაც თავისთავად ცვლის **M_t** წერტილოვანი ნაწილაკის მოძრაობის ტრაექტორიას.

თუ გამოვრიცხავთ დასაწებელი ნაწილაკების ურთიერთქმედებას, მაშინ მივიღებთ, რომ შეეკის ხვიის ზემოქმედებით **M_t** წერტილოვანი ნაწილაკი უფრო მეტი სიდიდით გადაადგილდება იმ მიმართულებით, საითაც მეტი

კუთხითაა $[(\alpha < \beta),$ თუ $(\alpha > \beta)]$ დახრილი M_{α} წერტილოვანი ნაწილაკის განლაგების სიბრტყე, (OXY) სიბრტყის და (OZ) ლერძის მიმართ. თუ $(\alpha = \beta),$ მაშინ M_{α} წერტილოვანი ნაწილაკი გადაადგილდება ორივე მიმართულებით თანაბარი სიდიდით.

ამასთან იმ ძალის სიდიდე, რომელმაც უნდა გამოიწვიოს M_{α} წერტილოვანი ნაწილაკის გადაადგილება ამა თუ იმ მიმართულებით, უკუკროპორციულია α და β კუთხეების მნიშვნელობებისა.

3.3. მცენარეული მასის დაწნეხვის (გამკვრივების)

თეორია რეოლოგიის მეთოდების გამოყენებით

თივის და ჩალის დაწნეხვის საკითხს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მრავალი კვლევა მიეძღვნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა, როგორც თეორიული, ასევე ექსპერიმენტული, ჩატარებული აქვს აკად. რ. მახარობლიძეს, რომლის კვლევიდან ირკვევა [78], რომ შემჭდიროვების დროს პირველ რიგში მასში გროვდება დრეკადი დეფორმაციის ენერგია და ბოლო დაწნევის მოხსნის შემდეგ ხდება მისი დრეკადული გაფართოება. დაწნეხილი მასალის გაფართოებაზე გავლენას ახდენს ის დრო, რომლის განმავლობაშიც ის იმყოფება დაწნევის ქვეშ. რაც ნაკლებია დრო, მით ნაკლები მასა გაფართოვდება დატვირთვის შემდგომ. ბარდანების ან ბრიკეტების წნევის ქვეშ გაჩერების დროს, მასში დაგროვილი დრეკადი ენერგია გაიშლება, ე.ი. მცენარეულ მასას აქვს მოქმედების ისეთი თვისება, რასაც ჰქვია რელაქსაცია (დაძაბულობის ცვლილება დროში), როცა შენარჩუნებულია მუდმივი დეფორმაცია და ცოცვა (დეფორმაციის ცვლილება დროში, მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნებით).

ქვემოთ განხილულია აკად. მახარობლიძის მეთოდოლოგიით ჩატარებული თეორიული გამოკვლევა, როცა დაწნეხვა მიმდინარეობს შნეგური საწნეხი სამუშაო ორგანოთი [45,46].

მცენარეული მასის სიმკვრივის და დატვირთვის კინემატიკური, დინამიური და ფიზიკო-მექანიკურ თვისებებს შორის დამოკიდებულების დასადგენად, განვიხილოდ დაწნეხვის პროცესი დახურულ L სიგრძის

კამერაში, რომლის განიკვეთია F. დავუშვათ, რომ კამერის მთელი მოცულობა შევსებულია M მასის მქონე მასალით, მაშინ მცენარეული მასის საწყისი სიმკვრივეა:

$$\rho_0 = \frac{M}{LF} \quad (3.1)$$


სამუშაო ორგანოს გადაადგილების მიხედვით მცენარეული მასა იკუმშება (დეფორმირდება), მისი სიმკვრივე იზრდება და სამუშაო ორგანოს U სიდიდით გადაადგილებისას (მასალის აბსოლუტური დეფორმაცია), მისი მნიშვნელობა იქნება:

$$\rho = \frac{M}{F(L-U)} = \frac{M}{FL(1-\frac{U}{L})} = \frac{\rho_0}{1-\varepsilon} \quad (3.2)$$

სადაც ε – მასალის აბსოლუტური დეფორმაციაა.

აბსოლიტური დეფორმაციის (ε) განსაზღვრისათვის პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ მასალის დეფორმაციის კანონი; რეოლოგიაში ცნობილია [46] დრეპადი, ბლანტი და სხვა ელემენტების თვისებების ფიზიკური ახსნა და მათი ურთიერთ კომბინაციის შედეგად შესაძლებელია საკმარისად ზუსტად აღვწეროთ ნებისმიერი მასალის მექანიკური თვისებები.

დრეპადი მასალა წარმოდგენილია ზამბარის სახით, რომლის დეფორმაცია ემორჩილება პუკის კანონს, ხოლო ბლანტი ელემენტი – ეს არის ცილინდრი, რომელიც სავსეა თხევადი ნივთიერებით, რომლის დეფორმაცია აისახება ნიუტონის კანონით. ამ ელემენტების პარალელურად ან მიმდევრობით შეერთებით შეიძლება ავაგოთ დასაწერები მასალის მოდელი. კვლევაში [38,39] დამტკიცებულია, რომ თივის ან ჩალის მაგვარი მასალის დეფორმაცია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ზემოთ აღნიშნული ელემენტების მარტივი შეერთებით – პარალელურად (ფოიგტის მოდელი) ან მიმდევრობითი შეერთებით (მაქსელის მოდელი); ამიტომ ვიღებთ ორი დრეპადი ელემენტის შეერთების სხვანაირ სქემას (სურ. 3.1):



სურ. 3.1. მაცენარეული მასის დაწნებების დროს დეფორმაციის განვითარების ექვივალენტური საანგარიშო სქემა

ასეთი მოდელი უფრო რეალურად ასახავს ბლანტი თვისებების მქონე მასალის დრეპარატულ თვისებებს (რელაკსაცია), შემჭიდროების დროს. სწრაფი შეკუმშვის დროს სრული დეფორმაცია ძირითადად განისაზღვრება E_1 ზამბარის შეკუმშით. თუ ამის შემდეგ მოდელის თავისუფალ ბოლოს დავაფიქსირებთ, მაშინ ზამბარა მოქმედებს დგუშებებს μ_2 და აიძულებს მას გადაადგილდეს, რის გამოც ზამბარა გაიჭიმება და მოდელის დაძაბულობა შემცირდება (დაძაბულობის რელაკსაცია) თუ მოდელს დავუმატებთ დატვირთვას, მაშინ პირველ რიგში მოხდება ზამბარის მყისიერი შეკუმშვა E_1 ; შემდგომში ზამბარის თანდათანობით შეკუმშვისას E_2 , შეკუმშვის მოხსნის დროს, ზამბარა მყისიერად გაიშლება. მამბარა E_2 დგუშის μ_2 მოქმედების გამო შედარებით ნელა გაიშლება (ცოცვის პროცესი). დატვირთვის მოხსნის დროს დგუში μ_3 არ იცვლის თავის მდგომარეობას ე.ი. რჩება დაძრულ მდგომარეობაში (ნარჩენი დეფორმაცია).

რეოლოგიურ მოდელების დახმარებით ჩატარებულ კვლევებში [43,42] გამოყვანილია დამოკიდებულებანი დაძაბულობა σ -ს ფარდობით დეფორმაციას ε -ს შორის, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{\mu_2}{E_1} \frac{d^2\sigma}{dt^2} + \left(1 + \frac{E_2}{E_1} + \frac{\mu_2}{\mu_3} \right) \frac{d\sigma}{dt} + \frac{E_2}{\mu_3} \sigma = \mu_2 \frac{d^2\varepsilon}{dt^2} + E_2 \frac{d\varepsilon}{dt} \quad (3.3)$$

სადაც: E_1, E_2 – ზამბარების დრეკადობის მოდულია $\text{ნ}/\text{მ}^2$;

μ_2, μ_3 – სიბლანტის კოეფიციენტი $\text{ნ}\cdot\text{მ}/\text{მ}^2$;

t - დრო, $\text{წ}\cdot\text{მ}$.

ხოლო ხვედრითი დაწნევა მასალის სიმკვრივისაგან არის შემდეგ დამოკიდებულებაში:

$$\sigma = C^* [e^{a^*(\rho - \rho_0)} - 1] \quad (3.4)$$

სადაც: ρ_0 და ρ - საწყისი და საბოლოო სიმკვრივეა, $\text{კგ}/\text{მ}^3$;

C^* და a^* – ექსპრიმენტებით მიღებული განზომილებიანი კოეფიციენტებია, $\text{ნ}/\text{მ}^2$, $\text{მ}^3/\text{ნ}$.

შენიშვნის ხვიაზე წერტილის დერძული სიჩქარე ($\text{მ}/\text{წ}\cdot\text{მ}$):

$$\frac{dU}{dt} = L \frac{ds}{dt} = \vartheta_m = \frac{S\Pi_m}{60} = \frac{S\omega_m}{2\Pi} \quad (3.5)$$

სადაც: U – მასალის ღემული გადაადგილება, მ ;

S – ხვიას ბიჯი, მ ;

ω_m – შენიშვნის კუთხეური სიჩქარე, $1/\text{წ}\cdot\text{მ}$;

L – საწნევი კამერის სიგრძე შენიშვნის ბოლოს, მ .

თანახმად (3.3) $\frac{ds}{dt} = \frac{1}{L} \frac{S\omega_m}{2\Pi}$, საწყისი რეულოგიური განტოლება (3.1)

დებულობს სახეს:

$$\frac{\sigma}{dt^2} + \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_1}{\mu_3} \right) \frac{d\sigma}{dt} + \frac{E_1 E_2}{\mu_2 \mu_3} \sigma = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S\omega_m}{2\Pi} \quad (3.6)$$

იმისათვის, რომ ვიპოვოთ მასალის სიმკვრივის ცვალებადობა დროში და მისი დამოკიდებულება მოქმედ ფაქტორებთან, საჭიროა (3.6) დიფერენციალური განტოლებიდან ვიპოვოთ ძაბვის მნიშვნელობა და შემდეგ მისი დახმარებით განვსაზღვროთ სიმკვრივე (3.4) ფორმულით.

ამოგხსნათ (3.6) დიფერენციალური განტოლება ოპერატორული ალრიცხვის მათემატიკური აპარატის გამოყენებით [69,70], ამისათვის წარმოვადგინოთ იგი ოპერატორული ფორმით:

$$P^2 \bar{\sigma} + \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_1}{\mu_3} \right) P \bar{\sigma} + \frac{E_1 E_2}{\mu_2 \mu_3} \bar{\sigma} = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S\omega_m}{2\Pi} \quad (3.3.7)$$

აქედან:

$$\bar{\sigma} = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{m}}}{2\pi} \cdot \frac{1}{P^2 \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_3}{\mu_3} \right) P + \frac{E_1 E_2}{\mu_2 \mu_3}} \quad (3.3.8)$$

შარმოვადგინოთ (3.8) ასეთი სახით:

$$\bar{\sigma} = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{m}}}{2\pi} \cdot \frac{1}{\left(P + \frac{1}{2} \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_3}{\mu_3} \right) \right)^2 + \frac{E_1 E_2}{\mu_2 \mu_3} - \frac{1}{4} \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_3}{\mu_3} \right)^2} \quad (3.3.9)$$

შემოვიდოთ აღნიშვნები:

$$\frac{1}{2} \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_3}{\mu_3} \right) - \frac{a}{2} \frac{E_1 E_2}{\mu_2 \mu_3} - \frac{1}{4} \left(\frac{E_1}{\mu_2} + \frac{E_2}{\mu_2} + \frac{E_3}{\mu_3} \right)^2 = b^2 \quad (3.10)$$

ამის შემდეგ, ოპერატორული განტოლება (3.9) შარმოვადგინოთ გარდაქმნილი სახით:

$$\bar{\sigma} = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{m}}}{2\pi} \left[\frac{\mu_2 \mu_3}{E_1 E_2} \left(1 - \frac{P \left(P + \frac{a}{2} \right)}{\left(P + \frac{a}{2} \right)^2 + b^2} - \frac{P \frac{a}{2}}{\left(P + \frac{a}{2} \right)^2 + b^2} \right) \right] \quad (3.11)$$

(3.9) და (3.11) განტოლებანი ერთმანეთის ექვივალენტურია, თუმცა გარდაქმნის შემდეგ (3.9) განტოლება მიყვანილია ოპერატორულ ფორმაზე, რომლის ორიგინალები მოცმულია ცხრილებში [83,84].

გვაქვს ამოხსნის სამი შემთხვევა:

1. როცა $b^2 > 0$

$$\sigma = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{m}}}{2\pi} \left[\frac{\mu_2 \mu_3}{E_1 E_2} \left(1 - e^{-\frac{a}{2}t} \left(\cos bt + \frac{a}{2b} \sin bt \right) \right) \right] \quad (3.12)$$

2. როცა $b^2 < 0$

$$\sigma = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{III}}}{2\pi} \left[\frac{\mu_2 \mu_3}{E_1 E_2} \left(1 - e^{-\frac{a}{2}t} \left(\text{ch } bt + \frac{a}{2b} \text{sh } bt \right) \right) \right] \quad (3.13)$$

3. როცა $b^2 = 0$

$$\sigma = \frac{E_1 E_2}{\mu_2 L} \cdot \frac{S \omega_{\text{III}}}{2\pi} \left[\frac{\mu_2 \mu_3}{E_1 E_2} \left(1 - e^{-\frac{a}{2}t} \left(1 + \frac{a}{2}t \right) \right) \right] \quad (3.14)$$

დაწესების კამერაში, მისი გავსების შემდეგ, მორიგი პორციის მიწოდების კვალობაზე, ხდება საკვები ბალახეული მასის დეფორმაცია და ძაბვის გადიდება, ზემოთ მიღებული კანონების შესაბამისად. ბარდანის მაქსიმალური სიმკვრივის მისაღებად დაწესების კამერაში, მიღებული ფორმულებით უნდა განისაზღვროს მაქსიმალური ძაბვის (დაწესების) მნიშვნელობა. სამივე შემთხვევაში მაქსიმალური ძაბვა განისაზღვრება გამოსახულებით:

$$\sigma_{\text{max}} = \frac{\mu_3}{L} \cdot \frac{S \Pi_{\text{III}}}{60} = \frac{\mu_3 E_1}{E_1 L} \cdot \frac{S \Pi_{\text{III}}}{60} = \frac{\tau E_1}{L} \cdot \frac{S \Pi_{\text{III}}}{60} \quad (3.15)$$

სადაც: τ – არის გამკვრივებული მასალის რელაქსაციის დრო, წმ.

თუ გამოვიყენებთ ძაბვასა და სიმკვრივეს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების ფორმულას (3.2), მივიღებთ შემდეგი ბოლოს მოთავსებულ დაწესების კამერაში, ბარდანის მაქსიმალური სიმკვრივის მნიშვნელობას შემდეგი სახით:

$$\rho = \rho_0 + \frac{1}{a^*} \ln \left(1 + \frac{1}{C^*} \frac{\tau E_1}{L} \cdot \frac{S \Pi_{\text{III}}}{60} \right)$$

მაგალითი: ვთქვათ შემდეგი მასალის მიხედვით რიცხვი $\Pi_{\text{III}} = 34$ ბრ/წთ; საწები კამერის სიგრძე $L=0,4\text{m}$; რელაქსაციის დრო $\tau=6,6\text{s}$; ხვიას ბიჯი $S=0,65$; დრეკადობის მოდული $E_1=0,85 \cdot 10^5 \text{ N/mm}^2$; $a^*=2 \cdot 10^{-3} \text{ mm}^3/\text{kg}$; საწყისი სიმკვრივე $\rho_0=50 \text{ kg/mm}^3$; $C^*=5,95 \cdot 10^5 \text{ N/mm}^2$, მივიღებთ:


$$\rho = 50 + \frac{1}{0,002} \ln \left(1 + \frac{6,6 \cdot 0,85 \cdot 10^5 \cdot 0,65 \cdot 34}{5,95 \cdot 10^5 \cdot 0,4 \cdot 60} \right) = 50 + \frac{1}{0,002} \ln 1,913 \approx 373,85 \text{ kg/mm}^3$$

სიმკვრივის მიღებული მნიშვნელობა არის „შეფუთული“ სენაჟის ტექნოლოგიით დაწესებილი ბარდანისათვის რეკომენდებული სიმკვრივის ზღვრებში.

3.4. „შეფუთული“ სენაჟის დასამზადებლად შენერერი ტიპის საწნეხი კამერის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება

პრაქტიკაში გამოყენებული დამწერები სამუშაო ორგანოები შეიძლება დავყოთ შვიდ ძირითად სახეობად: დგუშისებრი, რულონისებრი, სატრანსპორტო, შენერერი, შტემპელური, ლილვაკებიანი და რგოლური. მიუხედავად იმისა რომ შენერერი ტიპის საწნეხი ორგანოები მოითხოვენ დიდ ენერგიას, მათი გამოყენება სტაციონალურ დანადგარებში ეფექტურია ორი გარემოების გამო: კონსტრუქციული სიმარტივე და ორი ოპერაციის დაწნეხვა და შეფუთვის ერთდროული შესრულება.


ჩვენს მიერ გამოგონების დონეზე დამუშავებულია და დამზადებულია საწნეხ-შემფუთავი დანადგარი. სურათზე 3.2. წარმოდგენილია ამ დანადგარის დამწერი კვანძის პრინციპული სქემა.




სურ. 3.2. შენერერი აპარატის დამწერი კვანძის პრინციპული სქემა.

უძრავ კამერაში მასალის შემჭიდროვების დროს მოქმედი ძალების განაწილების სქემები წარმოდგენილია სურათ 3.3. და 3.4.-ზე.

დაწესების საწყის ფაზაში შენები 1 მასას აწვდის შენების გარსაცმის საწებე კამერაში 2, რომლის სიგრძეა L_0 . შენების გარსაცმის გამოსასვლელი ფანჯარა დახურულია მოძრავი ფარით 3.



სურ. 3.3. უძრავ კამერაში მასალის შემჭიდროვების დროს მოქმედი ძალების განაწილების სქემა



სურ. 3.4. მოძრავ კამერაში მასალის შემჭიდროვების დროს მოქმედი ძალების განაწილება

დაწესების დაწყების წინ შენების ბოლო ნაწილზე წამოეცმევა სპეციალურად დამზადებული შესაფუთი ტომარა (სქემაზე არ არის ნაჩვენები), რომელიც დაწესების პროცესის დროს ივსება სენაჟით და გადადგილდება საწები კამერის მოძრავ ნაწილთან ერთად.

საწნეხი კამერის დახურული (უძრავი) და მოძრავი ნაწილების გასწვრივ მოქმედი ძალების განაწილების განსაზღვრისათვის ვიყენებთ [39] კვლევაში მოყვანილ თეორიულ ანალიზს. შეეკის მიერ სასენაჟე მასის მიწოდების დროს პირველ ეტაპზე გაივსება (გაიტენება) შეეკის გარსაცმის საწნეხი კამერა. წნევის მოქმედების შედეგად წარმოიქმნება ძალა, რომელიც შეეკის დეროს პარალელურია, მასალა იწნებება და ცდილობს გაფართოვდეს კუმშვის მიმართულების პერპენდიკულარულად. კამერის კედლები ეწინააღმდეგებიან გაფართოებას, რის გამოც კედლებზე წარმოიქმნება გვერდითი წნევები.

გვერდითი წნევას q დერძულ წნევასთან p აქვს შემდეგი დამოკიდებულება [39]:

$$q = \mu p, \quad (3.16)$$

სადაც: μ - გვერდითი წნევა დატვირთვის დროს.

იმის გამო, რომ წარმოიქმნება გვერდითი წნევები, შეეცური სამუშაო ორგანო გადალახავს არა მარტო კუმშვის წინაღობას, არამედ დასაწნეხი მასალის დაწნებების კამერის კედლებზე ხახუნის წინაღობას. იმისათვის, რომ დაგადგინოთ წნევების განაწილება კამერის უძრავ სექციაში, სანამ მოძრავი ნაწილი (3) შეკავებულია სამუხრუჭე ძალით P_T , გამოვყოთ წნეხის ბოლო წერტილიდან x მანძილზე დასაწნეხი მასალის ელემენტარული ფენა dx (სურ. 3.3).

მასზე მარცხნიდან მოქმედებს წნევა P_x , მარჯვნიდან $-P_x + dP_x$, ხოლო პერიმეტრზე q_x წნევა, ამიტომ ამ ფენის X დერძზე წონასწორობის განტოლებას ექნება სახე:

$$P_x F - (P_x + dP_x)F - f q_x \ell dx = 0, \quad (3.17.)$$

სადაც: ℓ - კამერის განიკვეთის პერიმეტრი, მ;

F - კამერის უძრავი ნაწილის განიკვეთის ფართი, მ²;

f - მასალის კამერის კედლებზე ხახუნის კოეფიციენტი.

განტოლება (3.1) გათვალისწინებით:

$$\mathbf{P}_x F - (\mathbf{P}_x + d\mathbf{P}_x)F - \int \mu P_x l dx = \mathbf{0} \quad (3.18)$$

აქედან გამოდის, რომ

$$dP_x F = -f \mu P_x \ell dx,$$

ას

$$\frac{dP_x}{P_x} = -\frac{\ell}{F} \mu f dx. \quad (3.19)$$

ზღვრებში ინტეგრირების შემდეგ

$$\ell n P_x \Big|_{P_{gb}}^{P_x} = -\frac{\ell}{F} \mu f x \Big|_0^x,$$

$$\ell n \frac{P_x}{P_{gb}} = -\frac{\ell}{F} \mu f x. \quad (3.20)$$

აქედან საბოლოოდ გვაქვს, რომ წნევა ხმანბილთან დამოკიდებულებით იცვლება შემდეგი კანონით:

$$P_x = P_{gb} \exp\left(-\frac{\ell}{F} \mu f x\right). \quad (3.21)$$

(3.21) განტოლების გამოყენებით შეიძლება განვსაზღვროთ წნევა P_x შეჯის ნაპირა (ბოლო) წერტილიდან ნებისმიერ x მანძილზე.

საწნები კამერის მოძრავი ნაწილის ფუძეზე მოსული P_1 წნევის განსაზღვრისათვის (3.21) ფორმულაში x სიდიდის ნაცვლად ჩავსვათ L_0 , რომელიც შეჯის საბოლოო წერტილს და ფუძეს შორის მანძილის ტოლია:

$$P_1 = P_{gb} \exp\left(-\frac{\ell}{F} \mu f L_0\right). \quad (3.22)$$

უძრავი კამერის კედლებზე მასის ხახუნის ძალა P_f განისაზღვრება როგორც შეჯის და ფუძის მოძრავი ძალების სხვაობა:

$$\begin{aligned} P_{f1} &= FP_f = F(P_{gb} - P_1) = FP_{gb} \left[1 - \exp\left(-\frac{\ell}{F} \mu f L_0\right) \right] \\ P_f &= FP_{gb} \left[1 - \exp\left(-\frac{\ell}{F} \mu f L_0\right) \right]. \end{aligned} \quad (3.23)$$

მიღებული განტოლებიდან ჩანს, რომ ხახუნის ძალა, გარდა მასალის ფიზიკური-მექანიკური (f, μ) სიდიდეებისა, ასევე დამოკიდებულია საწები კამერის განივავეთის და მისი ფართობის შეფარდებაზე (ℓ/F) . უფრო რაციონალურია, როდესაც განივავეთი წრიულია, რადგან ამდროს (f/F) დამოკიდებულება მოცემული ფართობისათვის მინიმალურია. ხახუნის გადალახვა ზეენერგიის ხარჯის თვალსაზრისით, უფრო მიზანშეწონილია დიდი კვეთის კამერები. შაწები კამერის უძრავ ნაწილში სიმკვრივის ზრდასთან ერთად გროვდება უფრო მეტიდა მეტი სენაჟის დაწესების პოტენციური ენერგია $\frac{\sigma^2 V_0}{2E}$, რომელიც გადადის საწები კამერის მოძრავი ნაწილის კინეტიკურ ენერგიაში, დაგადაადგილებს მას L_{x1} მანძილზე. აგროვილი პოტენციური ენერგია იხარჯება: სამუხრუჭე $P_T L_{x1}$, ძალის, მოძრავი კამერის გორგოლაჟებზე მოძრაობის ხახუნის $G_{nk}\varphi \cdot L_{x1}$ ძალის და დასაწები მასალის კამერის კედლებზე ხახუნის $P_f L_{x1}$ ძალის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

გამომდინარე აქედან მივიღებთ განტოლებას:

$$\frac{P_1^2 V_0}{2E} = (P_T + G_{nk}\varphi + P_f) L_{x1}. \quad (3.24)$$

აქედან მოძრავი კამერის გადაადგილების სიდიდე:

$$L_{x1} = \frac{P_1^2 V_0}{2E(P_T + G_{nk}\varphi + P_f)}. \quad (3.25)$$

სადაც: P_1 - ფუძეზე წნევა (მოძრავი კამერის ძირზე);

V_0 - საწები უძრავი კამერის მოცულობა;

E - დაწესებილი სენაჟის დრეკადობის მოდული;

P_T - სამუხრუჭე ძალა;

G_{nk} - მოძრავი საწები კამერის წონა;

φ - გორგის ხახუნის კოეფიციენტი;

P_f - დაწებილი მასალის კამერის კედლებზე ხახუნის ძალა.

საწები კამერის მოძრავი ნაწილის L_{x1} მანძილზე გადაადგილების დროს ხდება დაწებილი მასის გაფართოება და შესაბამისად მცირდება მისი სიმკვრივე. სასენაჟე მასალის შენეკით შემდგომი მიწოდებისას მასა ხელახლა

მჭიდროვდება მანამდე, სანამ მოძრავი კამერის ძირზე დერმული დატვირთვა არ გახდება მეტი ვიდრე სამუხრუჭე ძალა. მეორე და შემდგომი დაწესებისას გვერდითი წნევები განისაზღვრება ფორმულით [76]:

$$q = q_0 + \mu_i p, \quad (3.26)$$

სადაც: q_0 - დაწესებილი მასალის გაფართოების შემდეგ კამერაში ნარჩენი გვერდითი წნევა.

ენა dx -ის წონასწორობის განტოლება სურ. 3.3 -ზე გამოისახება ფორმულა (3.17)-ით, რომლის ტოლობა (3.26)-ში ჩასმის შემდეგ მიიღებს სახეს:

$$P_x F - (P_x + dP_x)F - (q_0 + \mu_i P_x) f \ell dx = 0. \quad (3.27)$$

რამოდენიმე გარდაქმნის შემდეგ ვიღებთ:

$$\frac{dP_x}{\mu_i P_x + q_0} = -f \frac{\ell}{F} d_x. \quad (3.28)$$

(3.28) ტოლობის P_0 -დან P_x -მდე და 0 -დან x -მდე ზღვრებში გაინტეგრირების შემდეგ ვიღებთ:

$$\ell n \frac{q_0 + \mu_i P_x}{q_0 + \mu_i P} = -\mu_i f \frac{\ell}{F} x.$$

ან თუ ამ განტოლებას ამოვხსნით p_x მიმართ მივიღებთ,

$$P_x = \left(P + \frac{q_0}{\mu_i} \right) \exp \left(-f \mu_i \frac{\ell}{F} x \right) - \frac{q_0}{\mu_i}. \quad (3.29)$$

განტოლებიდან (3.29) P_x მნიშვნელობის (3.26) განტოლებაში ჩასმით, შესაბამისი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ საწესები კამერის მოძრავი ნაწილის პირველი გადაადგილების შემდეგ გვერდითი ძალების განაწილების კანონზომიერებას:

$$q_x = (\mu_i P + q_0) \exp \left(-f \mu_i \frac{\ell}{F} x \right) \quad (3.30)$$

საყრდენი წნევის P_2 განსაზღვრისათვის განტოლებაში (3.30) x -ის ნაცვლად ჩავსგათ $L_0 + L_x$ სიდიდე, რომელიც წნევის ბოლო წერტილისა და მოძრავი კამერის საყრდენის შორის მანძილის ტოლია, მივიღებთ:

$$P_2 = \left(P + \frac{q_0}{\mu_i} \right) \exp \left[-f \mu_i \frac{\ell}{F} (L_0 + L_{x1}) \right] - \frac{q_0}{\mu_i}. \quad (3.31)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ დასაწევები პორციის სიგრძის $L_0 + L_{x1}$ ზრდით მოძრავი საწევები კამერის საყრდენის წნევა მცირდება. შესაბა-
მისად საყრდენის მიმართულებით მცირდება მასალის სიმკვრივეც-როცა
მასალის სიმკვრივის ზრდის მიმართულებით ძალა $P_2 F$ გახდება მეტი ვიდრე
სამუხრუჭე ძალა P_T , იწყება მოძრავი კამერის შემდეგი გადაადგილება L_{x2}
სიდიდეზე და ა.შ. მანამდე, სანამ კამერა არ დაეჯახება უძრავ წინაღობას.

კამერის კედლებზე მასალის ხახუნის ძალა P_{f2} განისაზღვრება (3.23)
გამოსახულების ანოლოგიურად და იმის გათვალისწინებით, რომ $P_{gb} = P$
ვიღებთ:

$$P_{f2} = F(P_{gb} - P_2) = F \left(P_{gb} + \frac{q_0}{\mu_i} \right) \left[1 - f \mu_i \frac{\ell}{F} (L_0 + L_{x1}) \right]. \quad (3.32)$$

გადავწეროთ (3.32) გამოსახულება შემდეგი სახით:

$$P_{f2} = FP_{gb} \left[1 - f \mu_i \frac{\ell}{F} (L_0 + L_{x1}) \right] + F \frac{q_0}{\mu_i} \left[1 - f \mu_i \frac{\ell}{F} (L_0 + L_{x1}) \right]. \quad (3.33)$$

ამ გამოსახულების პირველი შესაკრები წარმოადგენს ხახუნის ძალას, რომელიც წარმოქმნილია დერძულა დატვირთვით, ხოლო მეორე – ხახუნის ძალას, რომელიც წარმოქმნილია შექუმშული სასენაჟე მასალის დრეპადული გაფართოების შედეგად.

მოძრავი კამერის საფეხურებიანი გადაადგილება შეწყდება იმის შემდეგ, როცა მისი ფსკერი (ძირი) დაეჯახება უძრავ წინაღობას.

საწყისი (3.29) ფორმულის თანახმად, კამერაში დაწნებილი სენაჟის ბარდანის საბოლოო ფორმირების შემდეგ, საყრდენის წნევა P_0 განისაზღვრება გამოსახულებით:

$$P_0 = \left(P_{\text{gb}} + \frac{q_0}{\mu_0} \right) \exp \left[-f \mu_i \frac{\ell}{F} (L_0 + L) \right] - \frac{q_0}{\mu_0}. \quad (3.34)$$

კამერის კედლებზე მასალის ხახუნის ძალა P_{f0} გამოიყვანება (3.33) გამოსახულების ანოლოგიურად და განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$P_{f0} = F \left(P_{\text{gb}} - P_0 \right) = F \left(P_{\text{gb}} + \frac{q_0}{\mu_0} \right) \left[1 - f \mu_0 \frac{\ell}{F} (L_0 + L) \right]. \quad (3.35)$$

რეალური საინჟინრო გაანგარიშებისათვის კოეფიციენტების მნიშვნელობები მოყვანილია ლიტერატურაში [83].

ზემოთ მოყვანილი ოეორიული ანალიზის შედეგად დგინდება დაწნევილი სენაჟის სიმკვრივისა, ზომებსა და უძრავი კამერის სამუხრაუჭებელის ძალას შორის კავშირი.

თეორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხახუნის ძალების სიდიდე დამოკიდებულია საწნევი კამერის განივჯეთის პარამეტრებსა და ფართობს შორის ფარდობაზე.

ენერგიის დანახარჯიდან გამომდინარე, დაწნევის დროს წარმოშობილი ხახუნის დასაძლევად მიზანშეწონილია დიდი განიკვეთის მქონე საწნევი კამერა.

თავი IV. „შეცუთული სენაჟის“ დამამზადებელი მანქანის კვლევა მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტების დაბებმვის მეთოდით

4.1. შნეაური ტიპის კამერაში სენაჟის დაწნეხვის ექსპერიმენტული კვლევა

ბალახეული მცენარეების დაწნეხისათვის მობილურ მანქანებში გამოიყენება დგუშისებური, რულონური, ტრანსპორტიორული, შტემპელური, ვალცისებური, რგოლისებური, შნეაური და ა.შ. მუშა ორგანოები. მიუხედავად იმისა, რომ შნეაური ტიპის წნეხები შედარებით მეტ ენერგიას მოითხოვენ, მათი გამოყენება სტაციონარულ დანადგარში მაინც მომგებიანია სიმარტივისა და იმის გამო, რომ ბარდანების შეფუთვისას არ მოითხოვება დამატებითი დანადგარის დამზადება, რადგან მასზე კონსტრუქციულად გაადგილებულია სასენაჟე მასალის დაწნეხვისა და შეფუთვის ოპერაციების შეთავსება.

ამ მიზნით ჩვენს მიერ გამოგონების დონეზე [24] დამუშავებული და დამზადებულია ბალახეული მცენარეების, როგორც სასენაჟე მასალის ცილინდრული ფორმის ბარდანებად საწნეხი და პოლიეთილენის მასალით საფუთავი დანადგარი. მესამე თავში სურ. 3.2 –ზე მოცემულია აღნიშნული დანადგარის საწნეხი კვანძის პრინციპული სქემა. დაწნეხვის პროცესის საწყის ფაზაში შნეკი 1 სასენაჟე მასალას მიაწვდის ცილინდრული ფორმის უძრავ საწნეხ კამერას, რომელიც შნეკის გარსაცმია მოთავსებული და რომლის სიგრძეა L_0 . შნეკის გარსაცმზე უძრავი კამერის მხრიდან წამოცმულია მოძრავი საწნეხი კამერა 3, რომლის ძირი დაწნეხვის საწყის ეტაპზე წარმოადგენს უძრავი კამერის ძირსაც. ცილინდრული მოძრავი კამერის გარსაცმი მიერთებულია ჭოკთან 4, რომელიც გადაადგილდება სამუხრუჭე მოწყობილობის ხერელში. სამუხრუჭე მოწყობილობის ჭანჭიკით 7 და ზამბარით 6 რეგულირდება ჭოკზე დაწოლა და შესაბამისად, სამუხრუჭე მალა P_T . უძრავ კამერაზე წამოცმული მოძრავი კამერის შიგნით მოთავსებულია სპეციალურად დამზადებული შესაფუთი მასალა – პოლიეთილების აფსკი, რომელიც მოძრავი კამერის გადაადგილების პვალობაზე ივსება დაწნეხილი სასენაჟე მასალით. მოძრავი კამერა გადაადგილებას იწყებს მაშინ, როცა უძრავ კამერაში სენაჟის დაწნეხვის შედეგად კამერის ფსკერზე

განვითარებული წნევებით წარმოქმნილი დერმული ძალა გადააჭარბებს სამუხრუჭე ძალას. მოძრავი კამერის გარკვეულ მანძილზე გადაადგილების შემდეგ კამერაში წნევა და შესაბამისად, დერმული ძალაც მცირდება და იგი სამუხრუჭე ძალაზე უფრო მცირე ხდება. ამიტომ მოძრავი კამერის გადაადგილება იქნება წყვეტილი – გარკვეული შეჩერებებით. ბოლო შეჩერებაზე მოძრავი კამერა მიებჯინება ზღუდეს და ამით დაწნეხვის ოპერაცია დასრულდება. ოპერაციის დასრულების შემდეგ შეფუთული სენაჟი, რომელსაც აქვს ცილინდრული ბარდანის ფორმა, ამოიღება მოძრავი კამერიდან შეფუთული სახით.

კვლევის მიზანია – დაამყაროს დამოკიდებულება დაწნეხილი სენაჟის სიმკვრივეს ρ და ისეთ მოქმედ ფაქტორებს შორის, როგორიცაა უძრავი კამერის საწყისი სიგრძე L_0 და სამუხრუჭე ძალა P_T .

ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოყენებულია მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვის მეთოდი [81]. დაგეგმვის მატრიცა, ფაქტორები, ვარიორების ინტერვალი, დონეები და ცდის შედეგები მოცემულია ცხრილში 4.1.

დაწნეხის ტექნოლოგიური პროცესის აღწერისათვის გამოვიყენეთ შემდეგი რეგრესიული განტოლება:

$$y = b_0 + b_1 x_1 + b_2 x_2 + b_{12} x_1 x_2, \quad (4.1)$$

სადაც: b_0 – თავისუფალი წევრია;

b_1 და b_2 – წრფივი კოეფიციენტებია;

ექსპერიმენტების დაგეგმვის მატრიცა

ცხრილი 4.1.

	ფაქტორები		პარამეტრი		
	უძრავი კამერის სიგრძე L_0 , მ	სამუხრავის ძალა P_T , ნ.	სასენაჟე მასალის სიმკვრივე ρ , კგ/მ ³	სასენაჟე მასალის სიმკვრივე ρ , კგ/მ ³	სასენაჟე მასალის სიმკვრივე ρ , კგ/მ ³
აღნიშვნები	x_1	x_2	y_1	y_2	\bar{y}
ვარირების ინტერვალი I	0,085	500			
დონეები					
+	0,215	4000			
0	0,13	3500			
-	0,045	3000			
ცვები					
1	-	-	241	296,6	268,8
2	+	-	284,5	310,9	297,7
3	-	+	318,9	327,6	323,25
4	+	+	344,8	356,9	350,85

b_{12} – ფაქტორების ურთიერთქმედების ეფექტია.

ვდებულობთ კოეფიციენტების შემდეგ მნიშვნელობებს:

$$b_0 = \frac{\bar{y}_1 + \bar{y}_2 + \bar{y}_3 + \bar{y}_4}{4} = \frac{268,8 + 297,7 + 323,25 + 350,85}{4} = 310,15;$$

$$b_0 = 310,15;$$

$$b_1 = \frac{-\bar{y}_1 + \bar{y}_2 - \bar{y}_3 + \bar{y}_4}{4} = \frac{-268,8 + 297,7 - 323,25 + 350,85}{4} = 14,125;$$

$$b_1 = 14,125;$$

$$b_2 = \frac{-y_1 - y_2 + y_3 + y_4}{4} = \frac{-268,8 - 297,7 + 323,25 + 350,85}{4} = 26,9;$$

$$b_2 = 26,9;$$

$$b_{12} = \frac{y_1 - y_2 - y_3 + y_4}{4} = \frac{268,8 - 297,7 - 323,25 + 350,85}{4} = -0,325;$$

$$b_{12} = -0,325.$$

მივიღეთ, რომ კოდირებულ ცვლადებში რეგრესიულ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$y = 310,15 + 14,125x_1 + 26,9x_2 - 0,325x_1x_2. \quad (4.2)$$

ცნობილი მეთოდებით [78,81,77] ადექვატურობის დისკერსიის $S^2_{\text{адекв.}}$ დაოპტიმიზაციის პარამეტრის დისკერსიის $S^2_{\text{параметр}}$ განსაზღვრის შემდეგ, ფიშერის კრიტერიუმით F შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მათემატიკური მოდელი 2 ადექვატურია, ხოლო ურთიერთმოქმედების კოეფიციენტი b_{12} უმნიშვნელოა. ამრიგად, კოდირებულ ცვლადებში საბოლოოდ ვდებულობთ:

$$y = 310,15 + 14,125x_1 + 26,9x_2. \quad (4.3)$$

აქედან ჩანს, რომ სასენაჟე მასალის სიმკვრივეზე უფრო მეტი გავლენა აქვს მოძრავი საწევები კამერის სამუხრუჭე ძალას, ვიდრე უძრავი კამერის საწყის სიგრძეს.

თუ გამოვიყენებთ კოდირების ფორმულებს:

$$x_1 = \frac{L_0 - L_{00}}{I} = \frac{L - 0,13}{0,085};$$

$$x_2 = \frac{P_T - P_{T0}}{I} = \frac{P_T - 3500}{500}.$$


და ჩავსვამთ მათ მნიშვნელობებს (4.3) ტოლობაში, მივიღებთ რომ ნატურალურ ცვლადებში დაწევებილი სენაჟის სიმკვრივე იანგარიშება ფორმულით:

$$\rho_1 = 100,26 + 166,174L_0 + 0,054P_T \quad (4.4)$$

მაგალითად, როცა $L_0 = 0,215$ და $P_T = 4000$ ნ, ფორმულით (4.4) ვდებულობთ $\rho = 351,19$ კგ/მ³, რაც ფაქტიურად ემთხვევა ექსპერიმენტით მიღებულს.

4.2 „შეფუთული სენაჟის“ საწნებ-საფუთავი დანადგარისექსპერიმენტული კვლევისშედეგების ანალიზი

„შეფუთული სენაჟის“ შნეკური ტიპის საწნებ-საფუთავი დანადგარის (სურ. 4.1) საწნებ კამერაში მცენარეული მასალის ტექნოლოგიური მოთხოვნებით დადგენილ $360\ldots400$ კგ/მ³ სიმკვრივემდე დაწნება, ძირითადად დამოკიდებულია დასაწნები მცენარეული მასალის ბოტანიკურ სახეზე, მდგომარეობაზე, ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, დანდგარის კონსტრუქციულ პარამეტრებზე და ა.შ.



სურ. 4.1. „შეფუთული სენაჟის“ საწნები ექსპერიმენტული დანადგარი.

1 - მიმღები ბუნკერი; 2 - შნეკი; 3 - საწნები კამერა; 4 - სამუხრუჭე
ძელი; 5 - სამუხრუჭე მოწყობილობა; 6 - ელექტროამძრავი.

შაპატენტო ძიებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებული დანადგარის წინასწარი ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ დანადგარის საწნებ კამერაში მცენარეული მასალის დაწნების სიმკვრივეს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: მცენარეული მასალის საწყისი სიმკვრივე ρ_0 კგ/მ³ და ტენიანობა $\theta\%$, უძრავი და მოძრავი კამერების ℓ მ და L მ სიგრძე, მუშაობის - შნეკის კუთხური სიჩქარე ω რად, შნეკის ხრახნის გარე დიამეტრი D_H მ,

შნეკის გარსაცმის შიგა დიამეტრი D_K , შნეკის სიგრძე L_0 , შნეკის ლილვის დიამეტრი D_B , შნეკის ხრახნის ბიჯი t , ხრახნის ასვლის კუთხე α გრად და მოძრავ კამერაზე მოდებული სამუხრავე ძალა P_T .

აქედან გამომდინარე, საჭიროა დადგინდეს ფუნქციონალური დამოკიდებულება საწნებ კამერაში მიღებულ სიმკვრივესა და აღნიშნულ ფაქტორებს შორის, რის საფუძვლზეც შესაძლებელი გახდება დანადგარის კონსტრუქციული პარამეტრების მნიშვნელობების კორელაციებით, მცენარეული მასალის ტექნოლოგიური მოთხოვნებით გათვალისწინებული დაწნების სიმკვრივის მიღება და შესაბამისად საწნებ-საფუთავი დანადგარის კონსტრუქციის სრულყოფა.

მცენარეული მასალის ტექნოლოგიით მოთხოვნილი დაწნების ρ სიმკვრივესა და მასზედ მოქმედ ρ_0 , θ , ℓ , L , ω , D_H , D_k , L_0 , D , t , α , P_T ფაქტორებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ ზოგადი სახით:

$$\rho = f(\rho_0, \theta, \ell, L, \omega, D_H, D_k, L_0, D_B, t, \alpha, P_T). \quad (4.5)$$

მსგავსებისა და განზომილებათა თეორიის [], კერძოდ π თეორემის გამოყენებით გამოსახულების ფაქტორებიდან $\rho_0 [ML^{-3}]$, $\omega [T^{-1}]$, $L [L]$ ძირითადი სიდიდეების შერჩევის შემდეგ, ცნობილი მათემატიკური გარდაქმნებით განსასაზღვრავი ρ / ρ_0 კრიტერიუმისათვის მივიღებთ ზოგადი სახის კრიტერიალურ განტოლებას.

$$\frac{\rho}{\rho_0} = \varphi \left(\theta, \frac{\ell}{L}, \frac{D_H}{L}, \frac{D_k}{L}, \frac{L_0}{L}, \frac{D_B}{L}, \frac{t}{L}, \alpha, \frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4} \right). \quad (4.6)$$

იმის გამო, რომ დაწნების პროცესის ექსპერიმენტული კვლევისას θ , D_H , L_0 , D_B , D_k , t , α ფაქტორების საწყისი მნიშვნელობები თითქმის არ იცვლება, ამიტომ კრიტერიუმები

$$\theta, \frac{D_H}{L}, \frac{D_k}{L}, \frac{L_0}{L}, \frac{D_B}{L}, \frac{t}{L}, \alpha \quad (4.7)$$

კვლევის საწყის ეტაპზე შეიძლება უგულვებელვეოთ.

გამოსახულებიდან (4.6) მივიღებთ შემდეგი სახის კრიტერიალურ განტოლებას:

$$\frac{\rho}{\rho_0} = F \left(\frac{\ell}{L}, \frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4} \right) \quad (4.8)$$

გამოსახულებიდან (4.8) რეგრესიული განტოლების მისაღებად ვიყენებთ მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვის მეთოდს [41]. ძირითადი $\rho_0 = 70 \text{ კგ/მ}^3$, $L = 0.4 \text{ მ}$, $\omega = 5,76 \text{ რ/ს}$ და $\ell = 0,045 \dots 0,215 \text{ მ}$, $P_T = 3000 \dots 4000 \text{ ნ}$. ფაქტორებისათვის ექსპერიმენტების დაგეგმვის მატრიცა, ვარიაციების ინტერვალი, დონეები და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.2.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

ცხრილი 4.2.

ფაქტორების ადგიუნდი			ექსპერიმენტის დაზღამის მატრიცა				ექსპერიმენტის შედეგები $Y = \frac{\rho}{\rho_0}$			
No	კოდირებული	ნატურალური	No	X_1	X_2	X_3	$X_1 X_2$	Y_1	Y_2	\bar{Y}
1	X_1	$\pi_1 = \frac{\ell}{L}$	1	+	+	+	+	4,92	5,10	5,01
			2	+	-	+	-	4,56	4,68	4,62
2	X_2	$\pi_2 = \frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4}$	3	+	-	-	-	4,07	4,43	4,25
			4	+	-	-	+	3,44	4,24	3,84
ფაქტორების დაზღამი										
No	ქვედა (-1)	ძირითადი (0)	ზედა (+1)	გარიგების ინტერვალი						
1	π_1	0,11	0,325	0,54						
2	π_2	50,4	58,9	67,4						
				8,5						

დაწესების პროცესის აღწერისათვის ვირჩევთ არასრული კვადრატული სახის მათემატიკურ მოდელს

$$Y = b_0 + b_1 X_1 + b_2 X_2 + b_{12} X_1 X_2. \quad (4.9)$$

გამოსახულების (4.9) b_0 თავისუფალი წევრის, x_1 და x_2 ფაქტორების b_1 , b_2 წრფივი და b_{12} ურთიერთქმედების კოეფიციენტების მნიშვნელობების გამოთვლით [] მივიღებთ: $b_0 = 4,43$; $b_1 = 0,20$; $b_2 = 0,385$; $b_{12} = -0,005$. მიღებული

მნიშვნელობების (4.9) გამოსახულებაში შეტანით მივიღებთ რეგრესიულ განტოლებას კოდირებულ ცვლადებში:

$$Y = 4,43 + 0,20X_1 + 0,385X_2 - 0,005X_1X_2. \quad (4.10)$$

სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მიღებული რეგრესიული განტოლება დაწნების პროცესს აღწერს ადეკვატურად (სანდობის 95% ალბათობით), ხოლო კოეფიციენტებიდან b_{12} -მნიშვნელოა, ამიტომ გამოსახულება (4.10) მიიღებს წრფივი რეგრესიული განტოლების სახეს:

$$Y = 4,43 + 0,20X_1 + 0,385X_2. \quad (4.11)$$

(4.11) გამოსახულებიდან ჩანს, რომ x ფაქტორის გავლენა x_I -თან შედარებით მნიშვნელოვანია.

(4.11) გამოსახულების ფაქტორების კოდირებული მნიშვნელობებიდან ნატურალურზე გადასვლისათვის ვიყენებთ კოდირების ფორმულებს:

$$X_1 = \frac{\frac{\ell}{L} - \bar{X}_{10}}{J_1} = \frac{\frac{\ell}{L} - 0,325}{0,215}; \quad X_2 = \frac{\frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4} - \bar{X}_{20}}{J_2} = \frac{\frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4} - 58,9}{8,5}. \quad (4.12)$$

რომელთა გამოსახულებაში (4.11) შეტანით მიიღება რეგრესიული განტოლება ნატურალურ ცვლადებში:

$$\frac{\rho}{\rho_0} = 1,47 + 0,93 \frac{\ell}{L} + 0,045 \frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4}, \quad (4.13)$$

რომლის გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ გამოსახულებას, რომელიც ამყარებს კაგშირს მცენარეული მასალის დაწნების სიმკვრივესა და ამ პროცესზე მოქმედ ფაქტორებს შორის:

$$\rho = \left(1,47 + 0,93 \frac{\ell}{L} \right) \rho_0 + 0,045 \frac{P_T}{\omega^2 L^4}. \quad (4.14)$$

(4.13) გამოსახულების სანდობის შემოწმებისათვის, მსგავსების კრიტერიუმების $\frac{\ell}{L} = 0,54$ და $\frac{P_T}{\rho_0 \omega^2 L^4} = 67,4$ მნიშვნელობებისათვის

განვიხილოთ მაგალითი:

$$\frac{\rho}{\rho_0} = 1,47 + 0,93 + 0,045 \cdot 67,4 = 5,005.$$

განსხვავება ექსპერიმენტით მიღებულ შედეგთან შედარებით არ აღემატება 0,1%-ს, მცენარეული მასალის დაწნების სიმკვრივე ამ შემთხვევაში $\rho = 350,35$ კგ/მ³-ს, რაც ოპტიმალურის ზღვრებშია.

4.3. კვლევის შედეგების ანალიზი

ამოსახულების (4.14) ანალიზიდან ჩანს, რომ დანადგარის საწნებ კამერაში ექსპერიმენტული კვლევით მიღებული სიმკვრივის $\rho = 350$ კგ/მ³-ის გაზრდა შესაძლებელია დაწნების პროცესზე მოქმედი ფაქტორების შემდეგი მიმართულებით შეცვლით:

$$\rho_{\max} \rightarrow \begin{cases} \rho_{o \max} \\ \ell_{\max} \\ L_{\min} \\ \omega_{\min} \\ P_{T \max} \end{cases} \quad (4.15)$$

მაგრამ, ამავე დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მოძრავი კამერის L სიგრძისა და შნეკის ω კუთხური სიჩქარის შემცირება ამცირებს დანადგარის მწარმოებლობას, უძრავი კამერის ℓ სიგრძის გაზრდა ართულებს საწნები კამერის კონსტრუქციის კორექტირებას. ამდენად, საწნებ-საფუთავი დანადგარის კონსტრუქციული სრულყოფის ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია P_T სამუხრუჭე ძალის გაზრდა, რისთვისაც, აუცილებელია სამუხრუჭე მექანიზმის კონსტრუქციის სრულყოფა.

P_T სამუხრუჭე ძალის ცვლილების ზედა ზღვარის (4000 ნ) 5000 ნ-მდე გაზრდისას, (4.10) გამოსახულებით შესაძლებელია მცენარეული მასალის დაწნების ρ სიმკვრივის საფარაუდო მნიშვნელობის დადგენა.

მაგალითი. ფაქტორების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$P_T = 5000 \text{ ნ}, \rho_0 = 70 \text{ კგ/მ}^3; \ell = 0,215 \text{ მ}, L = 0,4 \text{ მ}; \omega = 5,76 \text{ წ}^{-1},$$

კლებულობთ:

$$\rho = \left(1,47 + 0,93 \frac{0,215}{0,4} \right) 70 + 0,045 \frac{5000}{5,76^2 \cdot 0,4^4} = 402,8 \text{ კგ/მ}^3$$

რაც სიმკვრივის ოპტიმალური მნიშვნელობის ზედა ზღვარია.

თავი V. „შეფუთული“ სენატის საჭრების-საფუთავის დანადგარის ნერბეტიპული და ეკონომიკული შეფასება

5.1. ენერგეტიკული პლანის თეორიული საფუძვლები

პლანის მიზანს შეადგენს „შეფუთული“ სენატის დამზადების ოპერატორის - სასენაჟე მასის ჩარტვირთვის, დაწნებისა და შეფუთვის ენერგეტიკული დანახარჯების განსაზღვრა, რაც შესრულებულია მემცენარეობის წარმოებისა და მექანიზაციის ენერგეტიკული შეფასების მეთოდიკით [49].

„შეფუთული“ სენატის ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაზე დახარჯული ენერგია იანგარიშება ტოლობით:

$$E_{\text{თ}} = E_{\text{ტექ}} + E_{\text{სრ}} + E_{\text{ელ}} \quad (5.1)$$

სადაც: $E_{\text{ტექ}}$ – ენერგიის ხარჯია ტექნიკის დამზადებაზე, შენახვაზე, რემონტსა და ტექნიკის მომსახურებაზე, მგჯ/ტ;

$E_{\text{სრ}}$ – ტექნოლოგიური პროცესის შესრულებაზე მომსახურე პერსონალის მიერ დახარჯული ენერგია, მგჯ/ტ;

$E_{\text{ელ}}$ – ტექნოლოგიურ პროცესზე დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯი, მგჯ/ტ.

ენერგიის ხარჯის ხვედრითი წილი ტექნიკის დამზადებაზე, შენახვაზე, რემონტსა და ტექნიკის მაჩვენებელია განისაზღვრება გამოსახულებით:

$$E_{\text{ტექ}} = \frac{K}{W} \left[\frac{G_{\rho\alpha\beta} e_{\rho\alpha\beta} (\alpha_{\rho\alpha\beta} + \eta_{\rho\alpha\beta})}{T_{\rho\alpha\beta}} \right] \quad (5.2)$$

სადაც: K – ნაგებობის შენახვასა და აღჭურვილობაზე დახარჯული ენერგიის მაჩვენებელია;

W – აგრეგატის მწარმოებლურობა, ტ/სთ;

G -დან – დანადგარის მასა, კგ;

α -დან – დანადგარის ამორტიზაციის კოეფიციენტი;

η -დან. – დანადგარის კაპიტალურ და მიმდინარე რემონტები, ტექნიკისა და შენახვაზე დახარჯული ენერგიის მაჩვენებლის კოეფიციენტი;

ედან. – ენერგიის დანახარჯი 1 კგ მასის ტექნიკის დამზადებაზე, მგვ/ტ;

Тდან. – დანადგარის წლიური დატვირთვა, სთ.

ოპერაციის შესრულებაზე დახარჯული მომსახურე პერსონალის ენერგიის დანახარჯი იანგარიშება ფორმულით:

$$E_{\text{ძრ.}} = \frac{n}{w} e_{\text{ძრ.}} \quad (5.3)$$

სადაც: n – მუშახელის რაოდენობაა;

ეძრ- მომსახურე პერსონალის ენერგეტიკული ექვივალენტი, მგვ/კაცსთ.

„შეფუთული“ სენაჟის’ საწნეებ-საფუთავი დანადგარის მუშაობისას დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$E_{\text{ელ.}} = \frac{N_{\text{ძრ.}} K_{\text{ელ.}} e_{\text{ელ.}}}{w} \quad (5.4)$$

სადაც: $N_{\text{ძრ.}}$ – ელექტროძრავას სიმძლავრე, კვტ;

$K_{\text{ელ.}}$ – ელექტროძრავას სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი;

$e_{\text{ელ.}}$ – ელექტროენერგიის ენერგეტიკული ექვივალენტი, მგვ/კაც.სთ.

ტექნოლოგიურ პროცესზე დახარჯული ენერგიის პრაქტიკული გაანგარიშების მაგალითი:

საწყისი მონაცემები

$G_{\text{დან.}} = 450 \text{ კგ};$	$w = 0,2 \text{ ტ/სთ};$	$T_{\text{დან.}} = 250 \text{ სთ};$
$N_{\text{ძრ.}} = 5,5 \text{ კვტ};$	$\alpha_{\text{დან.}} = 0,14;$	$\eta_{\text{დან.}} = 0,10;$
$e_{\text{დან.}} = 104 \text{ მგვ/კგ};$	$K = 1,2;$	$e_{\text{ძრ.}} = 1,26 \text{ მგვ/კაც.სთ};$
$K_{\text{ელ.}} = 0,8;$	$e_{\text{ელ.}} = 3,6 \text{ მგვ/კაც.სთ};$	$n = 2;$

ენერგიის ხარჯი ტექნიკის დამზადებაზე, შენახვასა და ტექნომსახურებაზე იანგარიშება (5.2) გამოსახულებით:

$$E_{\text{ძრ.}} = \frac{1,2}{0,2} \left[\frac{450 \times 104 (0,14 + 0,10)}{250} \right] = 269,60 \text{ მგვ/ტ} \text{ დანადგარის}$$

ბუნკერში სასენაჟე მასის ჩატვირთვაზე, დანადგარის მართვაზე და

დაწესებილი ბარდანის პერმეტულად შეფუთვაზე ენერგიის დანახარჯი გამოითვლება (5.3) გამოსახულებით.


$$E_{\text{მრ.}} = \frac{2}{0,2} 1,26 = 12,6 \text{გჯ/გ.}$$

დანადგარის მუშაობაზე დახარჯული ელექტროენერგია იანგარიშება (5.4) გამოსახულებით:

$$E_{\text{მრ.}} = \frac{55 \cdot 0,8 \cdot 3,6}{0,2} = 79,2 \text{გჯ/გ.}$$

5.2. ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

როგორც თეორიული და ექსპერიმენტული კვლევებით დადგინდა, სასენაჟე მასის საჭირო სიმკვრივემდე დასაწესებად რეკომენდებულია შნეგური სამუშაო ორგანოიანი წნევი, რომელიც სხვა სახის წნევებთან შედარებით ხასიათდება შემდეგი დადებითი თვისებებით: დაწესება მიმდინარეობს უწყვეტ ნაკადად, რის გამოც შესაძლებელია ცილინდრული დაწესებილი მასის სიგრძის და სიმკვრივის ფართო ზღვრებში რეგულირება. იგი გამოირჩევა კონსტრუქციის სიმარტივით და მუშაობის საიმედოობით. ყოველივე ზემოაღნიშნული უპირატესობებიდან გამომდინარე შეირჩა „შეფუთული“ სენაჟის დასაწესი დანადგარის კინემატიკური სქემა მოცემულია სურ. 5.1



სურ. 5.1. „შეფუთული“ სენაჟის საწესი დანადგარის კინემატიკური სქემა.

დანადგარი შედგება სასენაჟე მასის მისაღები ბუნკერის 1, კორპუსის 2, მიმმართველის 3 და ცილინდრის შნეკისაგან 4. შნეკის აძვრა ხდება ელამძრავით 5, კორპუსის ტორსულ ნაწილში მაგრდება საწყისი კამერა, რომელიც სამ ვარიანტადაა წარმოდგენილი (ცხრილი 5.1). I ვარიანტი –

ცილინდრული ფორმის მისადგმელში 6 – შნეკი 4 არ შედის; II და III ვარიანტები: კონუსური ფორმის მისადგმელები 7 და 8, რომელთაგან 7 – შნეკი არ შედის, 8 შედის 80მმ სიღრმეზე.


წარმოდგენილი სქემის საფუძველზე წინასწარი სამიებო და პვლევითი სამუშაოს ჩატარების შემდეგ შნეკური საწნეხი მუშა ორგანო აღებული იქნა თივის პნევმატური ტრანსპორტირების დანადგარიდან 6. საწნეხ კამერაში გაჭედვის თავიდან აცილების მიზნით დასაწნეხი სასენაჟე მასა წინასწარ უნდა დაიკურს 5-7სმ-ის სიგრძეზე, რისთვისაც შერჩეული იქნა ამკრევ საქუცმა-ცებელი მანქანა – კუფ-1,8. რაც შეეხება დასაწნეხი სასენაჟე მასის პოლიე-თოლენის აფსკით მექანიზებული წესით შეფუთვას, ექსპერიმენტების პირველ ეტაპზე ხარჯების შემცირების მიზნით (საბოლოო შედეგების მიღებამდე) სრულდება ხელით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქსმმესკი-ის მეცხოველეობის ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის ლაბორატო-რიაში 2008 წელს დამზადდა „შეფუთული სენაჟის” საწნეხი დანადგარი (სურ. 4.1)

ცხრილი 5.1.

№	დასახელება	განზომილება	სიდი-დენი
	შნეკი		
1.	დიამეტრი	მმ	200
2.	ბიჯი	მმ	220
3.	სიგრძე	მმ	1300
4.	სიმძლავრე	კვტ	5
5.	ბრუნთა რიცხვი	ბრ/წთ	70
	ვარიანტი I. ცილინდრული მისადგმელი კამერა		
1.	დიამეტრი	მმ	200
2.	სიგრძე	მმ	250
	ვარიანტი II კონუსური მისადგმელი კამერა		
1.	დიდი დიამეტრიც	მმ	240
2.	პატარა დიამეტრიც	მმ	200
3.	სიგრძე	მმ	150

1.	ვარიანტი III კონუსური მისადგმელი კამერა		
2.	შნეკის ბოლო ნაწილის კამერაში შესვლის სიდიდე	მმ	80
3.	დიდი დიამეტრიც	მმ	240
4.	პატარა დიამეტრიც	მმ	200
	სიგრძე	მმ	150

ექსპერიმენტი ჩატარდა შნეკის საწნეხი კამერის შერჩეული სქემის მიხედვით. ახალი ტექნოლოგიის მოთხოვნებს პასუხობს III ვარიანტი.



სურ. 5.2. დაწნებილი ბალანის სიმკვრივის ცვლა საწნეხი კამერიდან გამოსვლამდე და გამოსვლის შემდეგ მასალის ტენიანობისგან დამოკიდებულებით.

საწნეხი კამერიდან გამოსული დაწნებილი ბალანის ზომების შეცვლის თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებული იქნა ე.წ. „შემზღვედველი მასრა“, რომელიც აფიქსირებს დაწნებილი მასის დიამეტრსა და სიგრძეს.

დადგინდა, რომ შნეკის ოპტიმალური დიამეტრია 400 მმ, რომლის დროსაც [12] ცილინდრული ფორმის დაწნებილი ბალანის სიგრძის (600, 800, 1000 მმ) ცვლით მეურნეს შეუძლია „შეფუთული სენაჟის“ მასა საჭიროების მიხედვით შეცვალოს 25-60 კგ-ის ფარგლებში.

2009 წელს ახალი ტექნოლოგიით დამზადებული პოლიეთილენის აფსკით შეფუთულ ბარდანებში ხელით „შეფუთული“ სენაჟის გამოკვლევის საფუძველზე საქმესკი-ის მეცნიერებელების ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის ლაბორატორიაში დამუშავდა მექანიზებული საფუთავი

მოწყობილობის პროექტი და გადაეცა ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანას დასამზადებლად.

ასევე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შესაძლებელია საწნეხი დანადგარის ბუნკერში ჩატვირთვის მექანიზაციაც, რაც საბოლოოდ მცირე გაბარიტული ზომისა და მასის „შეფუთული სენაჟი“ დამზადების სრული მექანიზაციის საშუალებას მოგვცემს.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე „შეფუთული სენაჟის“ ახალი ტექნოლოგიით დამზადებისათვის საჭირო მანქანათა სისტემა (დღევანდველი მდგომარეობით) და მისი ეპონომიკურ-ენერგეტიკული მახასიათებლები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ცხრილი 5.2-ის სახით.

**„შეფუთული“ სენაჟის ახალი ტექნოლოგიით დამზადების მანქანათა სისტემა
(ცხრილი 5.2.)**

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	აგრეგატის შემადგენლობა			მწარმოებლობა საკონფლი-სამუშაოები	მწარმოებლობა საგეორგო სამსახურის მიერ დანარჩენი დანახარჯები	ნეტო ეტაჟის დანარჩენი დანახარჯები
			ენერგეტიკული საშუალება	სასწავლო-სამუშაოები მანქანა				
1.	მოთიბვა	პა/სთ	T-25	KСГ-2.1	1,2	2,33	53,9	
2.	მოფოცხვა და ლვარეულებად დალაგება	პა/სთ	T-25	ГГП-6.0	3,6	0,94	21,3	
3.	აკრეფა-დაქუცმაცება, დატვირთვა, ტრანსპორტირება	გ/სთ	T3-25	КУФ-1.8	16,2	1,82	49,5	
4.	ჩატვირთვა საწნეხი	გ/სთ	MT3-25	2ПТС- 4М-785А	3,5	9,6	213	
5.	დანადგარის ბუნკერში დაწნეხვა	გ/სთ	ხელით		0,25	8	5,04	
6.	ბარდანების შეფუთვა	გ/სთ	ექსპ.საწნე -ხი დადგარი		1,6	2,6	44	

5.3. „შეფუთული სენაჟის“ დამზადების ტექნოლოგის ეფექტიანობის დასაბუთება

საერთოდ ცნობილია, რომ სენაჟი ცხოველთა საკვებია, რომელიც მზადდება ვეგეტაციის ადრეულ ფაზაში აღებული დაჭკნობილი ბალახის მწვანე მასისაგან, როცა მისი ტენიანობა 45-55 %-ია. იგი ინახება ანაერობულ გარემოში. სენაჟის კონსერვირება მიიღწევა იმით, რომ მასში არასაკმარისადაა ტენი და ბაქტერიებს საშუალება არა აქვთ ინტენსიურად განვითარდნენ. ეს მიიღწევა კ.წ. ფიზიოლოგიურად მშრალ გარემოში. აღნიშნულის გამო, სენაჟში მჟავების წარმოქმნა შეზღუდულია, სუსტად ვითარდება სიდამპლის და ზეთოვან-მჟავიანი ბაქტერიები, რაც საშუალებას იძლევა კარგად შეინახოს საკვები ნივთიერებები, განსაკუთრებით შაქარი. შაქრის შენარჩუნება სენაჟში უზრუნველყოფს ცხოველთათვის შაქარ-პროტეინის თანაფარდობას.

სასენაჟე მასაში კარგად ვითარდება სხვადასხვა სახის სოკოები. მათი განვითარება შეიძლება შევაფერხოთ მას შემდეგ, რაც სასენაჟე მასას ვამყოფებთ ჰაერთან მკაცრად იზოლირებულ გარემოში. როდესაც ჰაერი არ ეხება სასენაჟე მასას, წყდება მცენარეული უჯრედების სუნთქვა, რითაც წყდება თერმოფილური ბაქტერიების განვითარების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, იწვევს მასის ძლიერ გახურებას.

სენაჟის წარმოების ტექნოლოგიას სამართლიანად მიაკუთვნებენ შედარებით პროგრესულ მეთოდს. სენაჟირების დროს იკარგება მცირე რაოდენობით მშრალი ნივთიერება, ვიდრე თივის ან სილოსის დამზადების დროს. სწორად დამზადებული სენაჟი, თავისი კვებითი და ბიოლოგიური თვისებებით, უახლოვდება ახლად მოთიბული ბალახის თვისებებს. სენაჟის შემადგენლობა, კვებითი ნივთიერებების მიხედვით, თუ ის დამზადებულია ტრადიციული ტექნოლოგიების მკაცრი დაცვით, უზრუნველყოფს მის შენახვას 80-84%-ით.

სენაჟის დამზადება „შეფუთული“ სენაჟის ტექნოლოგიით, არსებითად განსხვავდება ტრადიციული ტექნოლოგიისგან და აქვს მრავალმხრივი უპირატესობა, კერძოდ, ნაკლებად შრომატევადია და მოითხოვს მცირე ენერგოდანახარჯებს. მაგალითად, ტრადიციულად დამზადების ტექნოლოგიასთან შედარებით „შეფუთული“ სენაჟის დამზადების დროს, ენერგოდანახარჯები 10 სენაჟის დასამზადებლად 55-60კვტ/სთ-ით ნაკლებია.

